

რეპენი



ყოველკვირეული საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 13

17 აგვისტო 1908 წ.

ფასი 10 კ.

შინაარსი: დღევანდელ პრესის ერთი სავალალო საკითხი.— შუა-და-შუა. — სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში.— რუსეთში.— ოსმალეთი — სპარსეთი.— ზღვას, (ლეკსი), მალაქია შვილისა.— მაღალ წრეში, განისა.— (ლეკსი) თლუღელისა.— ამერიკელ სოციალისტების პარტიკატაგინან, მ. მგალობლიშვილისა.— პროვინცია.— მუშათა შორის.— გურიის ამბები.— დედა, რომარც აღმზრდელი, ჰენრის შულციხი. თარბმ. გერმანულიდან სკ. კანდ—ისა.— იძულებითი განმარტება, ლ. დ.—სა.

ყოველკვირეული საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

დღევანდელ პრესის ერთი სავალალო საკითხი.

რეპენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისისა და თბილის გარეთ	5 მ.	—	კ.
ნახევარ წლით	—	3 მ.	—
სამი თვით	—	1 მ.	60 კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით	7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით	—	4 მ.	—
სამი თვით	—	2 მ.	—

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შუარი.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მალაზია „სორაპანი“ მაღათოფის კენჭულდი. ფოსტით ფული და წებო-დღები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлис книжный магазинъ „Сорапанъ“ (Мадаг-островъ) Рахиль Каландадзе.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევს 2 საათამდე.

„მწერალი, თუ იგი სასიცოცხლო ძარღვია ხალხის, არ შეიძლება განგვირულაო არ გრძობდეს თავის არსებას, როდესაც ლახვარსა სცემენ თავისუფლებას! მწერალი, თუ იგი ტალღაა სახალხო ზღვისა, არ შეიძლება არ აღშფოთდეს და არ განრისხდეს, როცა განრისხებული თვითონ სტიქია!“ ასე შექერმეტყველურათ გამოთქევეს ერთი რუსი ავტორი იმ სამართლიან აზრს, რომ მწერლები, საზოგადოთ, ხალხის ის უაღრესათ მგრძობაზე ნაწილია, რომელიც ყოველგვარ სახალხო კიროვარამა ყველაზე უფრო ღრმათ და ძლიერათ განიცდის. პატისანი მწერლობა ხალხის ერთგული და ფხიზელი გუშავია ეკლით მოფენილ ცხოვრების გზაზე; რაიმე განსაცდელის მოახლოებაზე იგი პირველი სცემს გამფორბილებელ საყვირს. სახალხო მოძრაობის დროს იგი წინ უძღვის მებრძოლ რაზმებს; მოძრაობის გათავებისას, როცა ყველანი დასაცვენებლათ რაიმე ავიღოს ძებენ, მწერლობა და განსაკუთრებით პრესსა კიდევ არ ფიქრობს დაშოშინებას; ხშირათ მოძრაობის უკანასკნელი აკორდი დიდი ხნის შეწყვეტილია, მაგრამ პრესსა ჯერ კიდევ შფოთავს და დრტინავს. პრესამ არ იცის

შეგრება, ის არ უღრკება არავითარ სიღუბეებს, ის მუდამ მოძრაობს, მოქმედებს, ის თვით სიცოცხლის ძარღვია.

უტყბ პოლიტიკურ რეაქციის დროს, როცა მძიმე ატმოსფერო ლოდინით დაგვწოლია ყველას და მთელი ცხოვრება ისე უქმებათ გამოიყურება, თითქოს ყველაფერი ერთ ადგილზე გაიყინაო და ნამდვილათ კი ცხოვრების გულის სიღრმეში შეუგრებელი მუშაობა სწარმოებს სახალხო ძალ-ღონის მოსაგროვებლათ და მოძრაობის ხელ-ახლათ ასაღორძინებლათ, პატიოსანი პრესა ამ დროსაც დაუღალავათ განაგრძობს მოქმედებას, ის იკვლევს განვლილ ქარ-ტეხილს, აფასებს აწმყოს და ენერგიულათ უჩვენებს გზას სანეტარო მომავლისაკენ. მაგრამ საერთო დაცემულბა პრესას უჩვენებლათ მინც არ სტკოვებს. პრესა მწარეთ იხრება წელში, როცა განსკვეტს მითხველ საზოგადოების უნუგვემო გულ-გრილობას, კითხვის უხალისობას, აპატას. რა ეშველება საქმეს? აქ არის კიდევ დღევანდელ პრესის სავალალო საკითხი,

ამ საკითხს ამ დღებში თავის „მაღალი“ ყურადღება აღიკს ვახ. „ЗАКАВКАЗЬ-მ (№ 181) და თავისებურათა ვანმარტა. ჩვენო—სწერს იგი— არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ საზოგადოებას მობეზრდა გრძელი და ლამაზი „რეჩები“, რომელნიც მოკლებულია საქმის უნარს და პრაქტიკულ ხასიათს... ნაცვლათ იმისა, რომ ჩვენი ახალგაზდა თაობა მიჰყავდეს სისტემატიურ კულტურულ განვითარებისა და დღიურ მიზნების ნათლათ ვაგების გზაზე. იგი (ი. თ. ადგილობრივი პრესა) უგრეგლოთ ლეკვს იმ ფილოსოფიურ კითხვებს, რომელნიც არავის არ ეინტერესება, არავის არ ესაქიროება“.

ასე სწერს ვაზთით, რომელმაც ამას წინათ ქვეყანა შეაჯგრა ბ-ნ გ. რობაქიძეს ფილოსოფიის ქება-დიდება და იმავ ფილოსოფიის უშველებელ წერილობით; შემდეგ, ვაზთით ხმა-მაღლა აცხადებს: „ლამარაკი კი მეტია იმაზე, თუ რამდენათ შეუწყნარებელია ამგვარი თეორეტიკული მსჯელობანი და გაუთავებელი ყვირილი ალტრუიზმზე, ადამიანობაზე, მუშათა და სხვა მრავალ ასეთ საკითხებზე თვითონ ცხოვრებათ საქმათ ნათლათ გამოამჟიარავე ამგვარ ოცნებათა სისუკლავ“. ჩვენ დიდხანია ვიცით, რომ „ЗАКА“-სა და მის მომავლინებელ ბატონების სახარება ეგოიზმი, ხოლო ალტრუიზმი, ადამიანობა და სხ. ამგვარებს ისინი უტოვებენ „პრაქტიკულ მიზნების“ უნარ მოკლებულ ადამიანებს.

„ЗАКА“-ის რომ „მუშათა საკითხისათვის“ თავს არ იცხებებს ეს აშკარაა, მაგრამ თვითონ მუშები კი არ შეიძლება არ იყვენ დანტერესებული თავიანთ კლასის სამკვდრო-სისიცოცხლო საკითხებით. საერთოთ უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ მემარცხენე პრესას ყველაფერი შეგიძლიათ უსაყვედუროთ, მარა ის კი არა, ვითომ მისგან წამოყენებული საკითხები და თემები არ იყოს სანტერესო და მნიშვნელოვანი. ყველანი თანახმანი არიან, მაგ., რომ ნაციონალური საკითხი კაცკა-

სიგლეხისათვის ერთი ძირითადი, საარსებო საკითხიაო, მარა ამა ყური დაუგდეთ მკითხველ საზოგადოებას, მოუსმინეთ თუნდ იმათ, ვინც მოწინავე ელემენტებთ ითვლებიან; ესენი ირწმუნებიან, რომ ნაციონალური საკითხი ჩვენთვის ერთობ დიდ-მნიშვნელოვანი, საქირ-ბორტო საკითხი არის, ამავე დროს მათ არ მოეპოვებთ ამ საკითხის თვით ელემენტარული, სანანანო ცოდნა, მაგრამ ამა შეეკითხეთ მათ ამ სავანზე, წაიკი ხეს თუ არა ეს ანუ ის სტატია, რაც ჩვენებურ—თუნდ სხვა ქვეყნის—ორგანოებში იბეჭდება. ერთი გიბასუხებს: არა, ვერ წაიკითხე, ძალიან გრძელი იყო და გული ვერ დავუდგი; მეორე—ერთ სავანეთო წერილში რა უნდა ყოფილიყო სიბისო; მესამე—სტატია ძალიან სერიოზული და მძიმე საკითხავი იყო; მეოთხე ჩივის, სტატია ძალიან მზატე და მტინტავრია, და ასე ბლომოდის. ნამდვილი მიზეზი კი ერთი და იგივეა: პსიხოლოგიური რეაქცია, რომელიც თან მოიტანა პოლიტიკურმა რეაქციამ და რომელიც ამ უკანასკნელზე უფრო მეტათ სახიფათოა.

მიუხედავთ ასეთ უნუგვემო მდგომარეობისა, პრესა მინც იარაღს ვერ დაყრის და მუშაობას მინც ვერ შეწყვეტს, რადგან იგი თვით სიცოცხლის ძარღვია. მარა იგი ამ შვა-ბნელ მდგომარეობას ფარსავათ ვერ გააღწევს, თუ მას არ დაეხმარება თვით მკითხველ საზოგადოების ცოცხალი ელემენტები. საქირაო ესენი ყურებ ჩამოყრილ და გოგნებულ ამხანაგებს შეაწერდენ და იღებურ მუჯღუღუნებს წაპკრადენ ხოლმე; საქირაო დაცემულ-დაბეჩავებულ და გაქსუებულ ამხანაგებს მეგობრის მშველელ ხელს გაუწყდიდენ, სიცოცხლის ენერგიას შიბეჭადენ, სოციალურ მოტივებს გაუღვიძებდენ, კითხვა-მეცადინეობის ხალისსა და ცოდნის შეძენის სურვილს განუახლებდენ.

მხოლოდ ასეთი პირობით პრესაც შეიძლება ბოლომდის მხნეთ განაგრძოს თვისი მძიმე, მაგრამ საპატოო მოვალეობის შესრულება—ერთოვულ და ფხიზელ გუშავიეთ აღვიძებდეს ხალხის შეგნება-ცნობიერებას.

გ ს ა ლ ა ს გ ს ა.

II

ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია.

ყველა იმ მხარეში, სადაც კი ორი, ან რამდენიმე ნაცია ერთათ ბინადრობს, ერთ და იმავე სახელმწიფო ჩარჩოში არის მომწყვედილი, საქით ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის შესახებ კეტათ დიდ-მნიშვნელოვან საქმეთ ხდება და მწვევე ბრძოლასაც იწყებს იმ დლიდანვე, როცა კი იღვიძებს ამ ნაციათა ხალხის შეგნება და თვითცნობიერება. ეს აგრეც უნდა იყოს. სახელმწიფო ცენტრალიზაცია საშინელი იარაღია მჩაგრებოდა-ეკსპლუატაცი-მონობისა, დეცენტრალიზაცია კი ფარია მის წინააღმდეგ შეგებებული, დეცენტრალიზაცია საგრელობელია ნაციონალურ მონობის სიმწვავის

გასანელებლათ, იგია მალამო მონაზის ბორკილებსაგან მოყენებულ ქრილობათა მოსაღებულელათ და განსაკურნავათ. ასე რომ საკითხი ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის შესახებ მჭიდროთ არის შეერთებული ნაციონალურ საკითხთან. უკანასკნელის გადაჭრა, ერთ და იმავე სახელმწიფო ფარგლებში, ყოველ შემთხვევაში ისე, თუ არ გადასწყვიტეთ პირველი საკითხი. ამიტომაც არის, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში ცენტრალიზმი და დეცენტრალიზმი დავა-კამათის ერთ მთავარ საგნათ გადაიქცა.

ეს ყველაფერი თავისთავათ გასაგებია, გაუგებარია, პირველი შეხედვით მაინც, ერთი რამ, აღვიღობრივ პრესაში ჩვენ არა იშვიათათ მოწმე ვართ ერთობ უცნაურ მოვლენისა. სახელდობრ, დაჩაგრულ ნაციის დაჩაგრულ კლასის იდეოლოგიები ესარჩლებიან ცენტრალიზაციას, ხოლო გაბატონებულ კლასების და შეძლებულ საზოგადოებრივ წრეების იდეოლოგიები მათ შრისხანეთ ეკეთებიან, სისტემატ ჰგომბუნ ცენტრალიზაციას და ენერგიულათ იცავენ დეცენტრალიზაციას. როგორ? დამზაგერელები დგებიან განმათავისუფლებელ ფერხულში, ხოლო დაჩაგრულები კი ამას უწინააღმდეგებიან და იცავენ მონაზის გამოძეგვ სახარულ იარაღს, — ცენტრალიზაციას?!.. და ეს მაშინ, როცა მთელი იშპერიის განმათავისუფლებელ მოძრაობის ერთი ძირითადი პოლიტიკური საკითხი არის სწორეთ დეცენტრალიზაციის განხორცილება?! არა, ამ რაღაც საშინელი აზნეულობაა, ენათა არევაა, ეს რაღაც ბოროტ სიზმარსა ჰგავს, მაგრამ ჩვენ არ უნდა ავყუეთ გრძნობას და საქმე უნდა განვიხილოთ ცივი გონებით, თუ ასე მოვიტკევით, დავინახათ, რომ ცენტრალიზაციის „მომხრეობა“ არც ისე უსაფუძვლოა, როგორც პირველი შეხედვით გვეჩვენება, თუმცა, ამ შემთხვევაში ამხანაგების ყველა მოსახრებანი, რასაკვირველია, არ არის სწორე და არც მათი ყველა დასკვნები შეიძლება იყოს სამართლიანი. საქირია მკაფიოთ განვიცალკევოთ ერთმანეთისაგან სწორე და მრულე, მართლი და შემცდარი. საქირია ეს, რაც შეიძლება დროიანათ, თუ გვინდა, რომ არ გავხდეთ უნებური სალესავი ჩვენ მტერთა და მოწინააღმდეგეთა მახვილის ვასალესათ.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ სოციალდემოკრატებსა და მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის აღნიშნულ საკითხის შესახებაც ხშირათ იგივე ხდება, რაც ბევრ სხვა საკითხებში. ასე მაგ., როცა ჩვენ აღვნიშნავთ კაპიტალისტურ საზოგადოების ულმოებელ ტენდენციას ხაზობის დიდი ნაწილის გადატაცება-გაბოგანობის, პროლეტარიაციის შესახებ, მოწინააღმდეგენი ყვირიან: სოციალდემოკრატები გლახებს საკუთრებს ართმევენ, პროლეტარიაციის აწარმოებენო! ანუ როცა მიუთითებ კაპიტალიზმის რეალურ ფაქტე — საწარმოო ძალთა კონცენტრაციაზე, ისინი ყვირიან: სოც.დემოკრატები კაპიტალიზმის აფერტები არიან, ნამდვილათ მდიდრების, კაპიტალისტების პარტიას შეადგენენო;

ნო; ამ ბოლო დროს კიდევ — ვის არ ახსოვს — სოც.დემოკრატები გამოჰყავდიოთ არსებულ ბიუროკრატულ ცენტრალიზმის მომხრეთ და „მონაზის აპოლოგეტებათ (მადიდებლათ).“ ყველა ასეთი ბრალდებანი, რასაკვირველია, ან ავითმყოფ ფანტაზიის ნაყოფია და ან იმის მაჩვენებელი, რომ მოწინააღმდეგენი არავითარ ზომების წინაშე არ იხევენ სოც.დემოკრატების დასამცირებლათ და დასამარცხებლათ. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგჯერ თვით ჩვენი ამხანაგები აძლევენ მოწინააღმდეგეთ სხასას ურიგო და უწმასურ კამპანიის საწარმოებლათ; ამხანაგებს პოლემიკის გატაცებაში ზოგჯერ ისეთი ფრაზა წამოსცდებთ ხოლმე, რომელიც ძირიანათ ამრულებს სოციალდემოკრატულ შეხედულებას.

ამ ბოლო დროს სახელმწიფო ცენტრალიზაციის შემტევი კილოთი გამოვსარჩლა ამხ. ა. ჩხენკელი. იგი ერთ თავის ფელეტონში სხვათა შორის სწერს: „სოციალდემოკრატია პრინციპალურათ ცენტრალიზმის მომხრეა (ხაზს თვითონვე უსვამს), როგორც ერთ ერისხანდანი, ისე ერთივე ერთთაგან შემდგარ სახელმწიფოში. ის დონკიხოტის გასს ვერ დაადგება, რომელსაც სურდა ფეოდალურ რაინდობის აღდგენა. მთელი ცხოვრება ცენტრალიზმისაკენ მიილტვის, მას არ შეუძლია ამ ძლევამოსილ მსვლელობას გაუმკლავდეს. ქარის წისკილთან ბძობლა უსაქმურებს უნდა დაეთმოს, სოციალდემოკრატის ისედაც ბევრი საქმე აქვს, თუმცა ზოგიერთ მას წევრს არა ერთხელ ავიწყლება ეს. ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია ტაქტიკის კითხვააო, რამდენჯერმე წაგვიკითხავს პარტიულ პრესაში, — ეს აზრი შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია პრინციპალური კითხვაა, ტაქტიკური კითხვა კი არის დეცენტრალიზაციის ესა თუ ის ფორმა“. აქ, როგორცა ხედავთ, აზრი ძალიან გარკვევით და გადაჭრით არის გამოთქმული. მაგრამ ასევე გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ სხარტულათ თქმა იმისი, ვითომ სოციალდემოკრატია პრინციპალური მომხრეა ცენტრალიზაციისა, ეს მიუტკევებელი და შეუწყნარებელი შეცდომაა! თანამედროვე საზოგადოებაში არ არსებობს ისეთი პირობები, რომელნიც სოციალდემოკრატისა აკისრებდეს სახელმწიფო ცენტრალიზაციისათვის მუშაობას. მაშ რას ნიშნავს ამხანაგის კატეგორიული განცხადება? ნიშნავს იმას, რომ იგი მოვლენას ცალი მხრიდან უყურებს და ამიტომაც მას მხედველობიდან ეკარგება მთელი ცხოვრების მთელი მიმდინარეობა.

ამხ. ჩხენკელი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ მოსპო საშუალო საუკუნოების კარჩაკეტილი ცხოვრება, ქვეყანა გაავრთიანა ეკონომიურათ, მოხდა ცენტრალიზაცია ეკონომიაში, რომაც გაამოიწვია ცენტრალიზაცია სახელმწიფოში; მაგრამ განვითარება აქვს არ გაჩერებულა — განაგრძობს იგი — ცალკე სახელმწიფონი ველარ ეტევიან თავიანთ საზღვრებში, შინაური

ბაზარი განუყრელათ უკავშირდება მსოფლიო ბაზარს, სახელმწიფოში სდებენ ერთმანეთში სხვა-და-სხვა საეკონომიკურ, საბაჟო კონვენციებს, იზრდება სახელმწიფოთა შორის მჭიდრო დამოკიდებულება—ურთიერთობანი. მართალია ყველა ეს თუ არა? დიახ, მართალია, მაგრამ აქედან ცენტრალიზმის ზემოხსენებულ გაბრძნობებამდის ჯერ კიდევ ძალიან შორსა ვართ.

მართალია ცენტრალიზტურ ტენდენციის მატარებელი ბურჟუაზია ისრაელის ყველანი და ყველაფერი თავის ნაციაში გათქვიფოს, „იგი მოსისხლე მტერია პალოების და ლოკალიზმის სახელმწიფოს ზიგნით“ და ასეთ პალოებით ჰხადავს ყოველ უცხო ნაციონალურ ენას, ასეთ „ლოკალიზმით“ გამოაქვს ამ ერის თვითარსებობისადმი ლტოლვილებს, რისთვისაც იგი (გაბატონებული ბურჟუაზია) ისრაელის მოსპოს და გაანადგუროს ყველაფერი, რასაც კი ნაციონალური ელფერი ადევს. მაგრამ... მაგარიც ისაა, რომ ერი არც საქონელი და არც უსულო ნივთია, მას წიხლს ვერ ამოკრავ და სურველისამებრ აქეთ-იქით ვერ გადაისვრი, ვერც იმის თავზე შეიძლება ყოველნაირ ოპერაციების გაკეთებას. აღმაინა ძალიან მომთმენი და ბევრის აქტანი ცხოველია, მაგრამ ბოლოს, რაკი აივსება ფილა, მაშინ აჯანყება იცის; ამავე გზას მისდევს აღმაინათა ის კრებული, რასაც ეწოდება ნაცია, ერი. მაგრამ, გვეუბნებიან, დონკობტობა, ქარის წისკვილებთან ბრძოლა დიდი გვირბაძე რომ იყოს, რა საკადრისია! საქმე ის არის, ძირითადი შეცდომაში იშვიათა, რომ აქ დონკობტობა სრულიად მოსატანი არ არის. დამატრული ნაციები არსებობისათვის ბრძოლას სწავლობენ თვითგაბატონებულ ნაციათაგან, ამათგან იღებენ იმავე აზვარს, იმავე იარაღს, რითაც ესენი ერთხელ გაბატონებამდე მისულან. „დაზავრულ ხალხებშიც, რამდენათ შთშიმეტრებულა კაპიტალიზმში, იმდენათ ისინი ერებათ ქვეულან, და ცდილობენ ერთეულ პოლიტიკურ ორგანიზმით იქენ, სულ ერთია, რას დავარქმევთ ამ ორგანიზმს, დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ავტონომიას თუ თვითმართველობას“. ამას სწერს თვითონ ამხ. ჩხეკელი, მაგრამ, სამწუხაროთ, ის ამ მნიშვნელოვან სტრაქტემებს ფრხლად აქცევს, სათანადო ყურადღებთ არ ფრდება, და არც გამოყავს იქიდან ჯეროვანი, ლოკიკური დასკვნა. ეს დასკვნა კი ის არის, რომ იმავე კაპიტალიზმის წიაღიდან, საიდანაც მომდინარეობს ცენტრალიზაცია, იქიდანვე მოსჩქეფს მეორე ნაკედული, **დეცენტრალიზაცია**, რომელიც პირველს ტრავება და თავისთვის სიკოცხლის უფლებას ადასტურებინებს. და ეს პიპატეზა კი აღარ არის, არამეთ ცოცხალი ფაქტები თანამედროვე სახელმწიფოებისა. ყველგან, სადაც კი დამატრული ნაცია წელში გაიბრათა, ყველგან ის გამწარებით ეკეთა ცენტრს, რათა იქიდან, რაც შეიძლება, მჭერი უფლებები გამოეყოლიან თავისთვის; ზოგან სრულიად გასწევტა ცენტრთან კავშირი, ზოგან მოიპოვია ავტონომია, სხვაგან ჯერ კიდევ სწარ-

მოებს ბრძოლა. მარა ყოველგან, სადაც კი განხორციელდა დეცენტრალიზაცია, ამერიკაში, ავსტრალიაში, აფრიკაში და სხ ყველგან დეცენტრალიზაციამ გასამტრებლათ ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას, ეკონომიურ ძალების აღორძინებას, მარა უკანასკნელი ხომ უეცკელათ ნიშნავს კონცენტრაციას, ეკონომიურ ძალების ცენტრალიზაციას, და განა ამას არ ეწინააღმდეგება ნაციათა სახელმწიფოს პოლიტიკური დეცენტრალიზაცია? არა არ ეწინააღმდეგება! პირიქით ენმარება. ამ „საიდუმლოების“ ასნას იძლევა ის უბრალო, ნათელი, მაგრამ „დოქტრინირებისთვის“ ძნელათ დასანახი გარემოება, რომ **თანამედროვე** დეცენტრალიზაცია — პოლიტიკურია ეს, თუ ადმინისტრაციული — არ არის და არ შეიძლება იყოს „დონკობტის რაინდების აღდგენა“, არ არის და არ შეიძლება იყოს საშუალო საეკონომიკური, ფეოდალურ ცხოვრების კარჩაკეტილობის გაცოცხლება. უკანასკნელი, რა თქმა უნდა, კაპიტალიზმის მოსპობა-განადგურება იქნებოდა, ხოლო კაპიტალიზმის მოსპობა კი, სხვანაირათ, თუ არ სოციალიზმის საშუალებით, უეცკელათ ნიშნავს რეგრესს, უკან წასვლას, გადაწეწება-გათახსირებას და თვით ნაციათა მოსპობას, დამატრული ნაციები კი ესწრაფიან სიკოცხლს და ამ ნაციონალურ სიკოცხლის დამზღვევი და განმავითარებელია სწორეთ დეცენტრალიზაცია.

მაგრამ დეცენტრალიზაციის პროცესი სწარმოებს არა მარტო ნაციათა სახელმწიფოში, არამედ აგრეთვე იმ სახელმწიფოშიც, სადაც მხოლოათ ერთი ნაცია ბინადრობს.

ფეოდალური კარჩაკეტილობა მოსპო ბიუროკრაციულმა თვითმპყრობელობამ, პირველათ ამან განახორციელა სახელმწიფოს ცენტრალიზაცია და ეს მოხდა სწორეთ ბურჟუაზიის ინტერესთა სასამახსოვროთ; მაგრამ როცა კი ბურჟუაზია საკმაოდ ლონიერდება, იგი ძველი რეჟიმის წინააღმდეგ რევოლუციის ბაირაღს იღებს და მას სხვათა შორის ზედ აწერს დეცენტრალიზაციის მოთხოვნას. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ძველი რეჟიმის ცენტრალიზაცია იყო ტლანქი, ხებრე, მექანიკური, ქვეყნის შემოქმედ ძალების შემოხარკავი; კაპიტალიზმის განვითარება კი უღერბსათა ითხოვს თანხრობა-თვითმოქმედების ამოძრავებას. ბურჟუაზია თავის სახელმწიფოში ანხორციელებს ორგანიულ ცენტრალიზაციას, ე. ი. ისეთს, რომელიც ემყარება ეკონომიურ ძალთა თავისუფალ განვითარებაზე. რაც დრო მიდის, კაპიტალიზმი იმდენათ ართულებს ეკონომიურ ცხოვრებას, რომ სრულიად შეუძლებელი ხდება ცენტრიდან მთელი მართვა-გამგეობის წარმოება. ამასვე შეუძლებლათ ხდის თვითონ ხალხის შეგნება, რომელიც უფრო და უფრო მეტ მონაწილეობას ითხოვს ქვეყნის მართვა-გამგეობაში. პარლამენტარიზმის განვითარება აუცილებლათ ითხოვს ფართე ადგილობრივ თვითმართველობას, ე. ი. ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას.

მაგრამ გაბატონებული ბურჟუაზია, რაც დრო

მიღის, იმდენი უფრო აღმაცერათ და მტრულათ უწყებს ყურებას ყველა დემოკრატიულ უფლებებს, და დეცენტრალიზაცია ხომ დემოკრატიის ძირითადი უფლებაა და მოთხოვნა არის. გაბატონებული ბურჟუაზია, ყველა მოკამბნე კლასები საერთოდ ბეჯითად ესწრაფიან ყველანი ყველაფერი ცენტრს დაუმორჩილონ და მით გაბათილონ ყოველნაირი დეცენტრალიზაცია (მაგალითები იკითხეთ თუნდ საფრანგეთის რესპუბლიკაში.) დემოკრატის სწორად ლაღატობს თვით რადიკალური ბურჟუაზია. დემოკრატის ერთგული დარაჯი, დემოკრატიულ უფლებების და მოთხოვნებისათვის, მასხადამე, დეცენტრალიზაციისათვისაც — ბოლომდის თავ-გამოდებული მებრძოლი არის და იქნება მხოლოდ სოციალდემოკრატია. ღიახ, სოციალდემოკრატია **პრინციპიალურად დეცენტრალიზაციის მომხრეა!** იმ დღიდან, როცა ეს დებულება ცხოვრებაში შეიკვლევოდა, იმ დღიდან ს.-დ. ღიხის აღარ იქნებოდა თავის სახელის. ტაქტიკის საკითხი მხოლოდ ის არის, თუ სად და როდის დეცენტრალიზაციის რომელი ფორმა სჯობია.

როგორია დეცენტრალიზაციის ფორმები და როგორი უნდა იყოს ჩვენი საერთო ტაქტიკური დებულებანი, ამაზე შემდეგ წეროლიში... იქვე შევხვებით ამხ. რ. ა-ს, რომლის მეთაური წერილი (იხ. „ხომლი“ № 26) აშენებულია **სასაცილო გაუგებრობაზე**. აქედანვე ამხანაგებს მივცემთ მხოლოდ შემდეგ თვისებს: 1) პოლიტიკური უფლებანი, მიელი წყება პოლიტიკურ უფლებათა **უსათუთი** არ ნიშნავს ეროვნულ პოლიტიკურ ავტონომიას“ ე. ი. ატომისტურ პრინციპზე დამყარებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას; 2) არაერთარი ავტონომია არ არსებობს პოლიტიკურ უფლებათა გარეშე, თვით ნაციონალურ-კულტურული ავტონომია ფუქი სიტყვა და სიყალბე იქნებოდა, თუ კი ნაციის არ მიენიჭებოდა სათანადო **პოლიტიკური უფლებანი**; 3) ავტონომიის წინააღმდეგ იმის გასწვება, რომ ავტონომიურ ავტორიის მუშებმა წამოაყენეს მოთხოვნა — „უცხო ერის მუშები არ შეუშვათ ჩვენს ქვეყანაში, რადგან ისინი კონკურენციას გვიწვევენ“, ასეთი საბუთის წამოყენება ახსურდება, უარობაა; 4) ავტონომია კი არ აცალკევებს სხვადსხვა ნაციის მუშა ხალხს, იგი სკედავს ამ ხალხის ძმობა-ერთობას და ამხადებს **მიელ** ნაციათა მჭიდრო სოლიდარობას.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩვენში

— რადგან თბილისში უკვე რამდენიმე კაცი გარდაიცვალა ხოლერისაგან, ქალაქის თვითმმართველობის განკარგულებით ყველა უბანში ექიმები და სასანიტარო მზრუნველები ყველგან ქუჩებისა, არხებისა და კერძო სახლების დასუფთავება-დაწმენდას.

— როგორც „ბაკუ“-ს პეტერბურგდან ატყობინებ-

ენ, ნამესტნიკთან ერთად სამსახურს თავს ანებებს თურემ იმის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი.

— ამას წინათ თბილისში დაარსდა ახალი ქართული საზოგადოება „განათლების“ სახელით. ამ საზოგადოებას, შუამდგომლობის თანახმად, ნება მიეცა დაარსოს თბილისში ორი სასწავლებელი, ორივე ქართველებისათვის, ერთი — ოთხ-კლასიანი, მეორე — ერთ-კლასიანი. სასწავლებლები, როგორც გადმოგვცეს, ამ შემოდგომაზე არსდება. ამ ჟამით ოლქის მზრუნველმა მოსთხოვა ხსენებულ საზოგადოებას წარადგინოს განზრახულ სასწავლებლების დაწერილებითი გეგმა და საქირი თანხის ხარჯთაღრიცხვა.

— სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციას აზრათა აქვს გარდაცვალებულ საზოგადო მოღვაწის, პროფ. პეტრიაშვილის პატივსაცემად მის სახელობაზე გამართოს ქართული ლექცია პირველ სემესტრის გახსნიდანვე. ლექციაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნობს მის ბიოგრაფიას და საზოგადოთ იმის თუ რა ღვაწლი მიუძღვის გარდაცვალებულ პროფესორს მეცნიერებაში.

— სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციას აზრათა აქვს ამ მოკლე ხანში გახსნას ორი პირველ დაწყებითი სკოლა ქართულ მუშათათვის ერთი წლის კურსით, სკოლაში მიიღება მუშა ქალები და ვაჟები 16—30 წ. სწავლა საღამომობით იქნება, სწავლის ფასი 30 კ. გადახდებათ თვეში. მუშების მიღების დროს სექცია ცალკე გამოაცხადებს. სასურველი იქნება, რომ ამ სკოლებში წერათხმვის მეთი უკოლინარნი ჩაეწყონ.

— ტრამვაის საშინაოფელოს წინ გამოკულია ბრძანება, რომლითაც ტრამვაის დირექტორი მ-ნი ალიბეგოვი დილაობით ტრამვაის გამოსვლის დაგვიანების მიზეზით ასახელებს სხვათა შორის ვატმანების მიერ სხვადასხვა „მარტინი“ სათამაშოების გაშართვას და თავის გართობას. დირექტორი კატეგორიულათ აცხადებს, რომ თუ ამიერიდან კიდევ მინიშნა ვატმანებს ასეთი დაუდევრობა, დამწამვე პირთ პირველათ დაჯარიმებს და მეორეთ კი სამსახურიდანაც დაითხოვს.

— მარიამობისთვის ბოლოს კაცკისის მხრით წარმომადგენლებთ მოსკოვში მიემგზავრებიან ავტონომები ა. კლანტარი და კ. სატუნინი, რომ დაესწრენ იქ მეტალოგიურ გამოფენაზე.

— გზ. „ზაკ.“ ყოფილ რედაქტორს პარ. გოთუას თბილისის გუბერნატორმა ნება დართო გამოსცეს თბილისში რუსულ ენაზე საზოგადო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „Кавказский листок“.

— საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქცია ბეკდავს ლეე. ტოლსტოის საიუბილეოდ საყმაწვილო წიგნაკს, რომელშიაც მოთავსებული იქნება, გარდა ტოლსტოის ბიოგრაფიისა და სურათისა, სამი მისი საუკეთესო მოთხრობა: „ღმერთი სიმართლეს ჰხედავს, მაგრამ მაღე არ გამოაჩენს“, „კაცკისილი ტუსალი“ და „მიონტე კრისტო“.

— გამოვიდა ჟურ. „ნაკადული“ მოზრდილთათვის

№ 8 და მცირე წლოვანთაოვის № 15. ჟურნალი ჩვეულებრივით სუფთათაა დაბეჭდილი და საინტერესო შინაარსისაა.

რ უ ს ე თ შ ი .

— სიკვდილით დასაჯეს: ლოდზში—ექვსი, ვარშა-ვაში—ოთხი, ოდესაში—ერთი.

— სიკვდილით დასჯა გადღუწყვიტეს: ვარშავაში—ოცდახუთს, ლოდზში—ცხრას, პინსკში—ხუთს, ვილნაში—ხუთს, სარატოვში—სამს, კიევი—ორს. (ჟრწი“ № № 185—189).

— დაჯარიმეს შემდეგი ვაზეთები: „ვიატკაია რეჩი“ 300 მან., „კიევისკია მისლი“—500 მან., პოლშური იუმორისტული ჟურნალი „მელი პავლინ“—100 მანეთით.

— სამხრეთ-დასავლეთ მხარეში მთავრობამ აკრძალა ებრაულ ენაზე წარმოდგენების მართვა.

— რიგაში გაიხსნა ბალტიის მსწავლებელთა სი-ვები. მონაწილეობას იღებს 340 კაცი.

— ლ. ნ. ტოლსტოის წერილი „არ შემოდლიან გაქმუნდეს“, რომელიც უფასოთ გაუგზავნა მან რედაქციებს რუსეთის პროგრესიულ პრესას დაუჯდა 8,300 მან. ეს ფული შეიტანეს რედაქციებმა ხაზინაში, როგორც ჯარიმა ტოლსტოის წერილის მოთავსების გამო. ყველაზე ძალიან დაუფასებია ტოლსტოის წერილი მოსკოვის ადმინისტრაციას (ჟრუსკია ვედ.“ დაჯარიმა 3000 მან.), ყველაზე ნაკლებ ღირებულნი მწერალი დაფასა ბათუმის ადმინისტრაციამ („გოლოს ბატუმა“ დაჯარიმეს 300 მან.).

— ოსტების ბარონები ყოველ წერილმან ამბავს აზვიადებენ და გამოაკეთ, როგორც დიდი რევოლუციონური აქტი, რათა მთავრობამ არ მოსპოს იქ სამხედრო წესები, რომლის მფარველობის ქვეშ მათ ტბილათ ეცხოვრებათ.

— როგორც რუსული ვაზეთები გადმოგვეცემენ, ლ. ნ. ტოლსტოი სწერს ახალ პიესას სიკვდილით დასჯის შესახებ შემდეგი სათაურით: „კანონი ძალმომრეო ბისა და კანონი სიყვარლისა“.

— 6 აგვისტოს 1-ლი სახელმწიფო დუმის 18 დეპუტატი, რომელნიც იხილდენ სასჯელს პეტერბურგში ებორჯის მოწოდების თაობაზე, გაანთავისუფლეს ციხიდან. ადმინისტრაციამ მიიღო ყოველნაირი ზომები, რომ დეპუტატების განთავისუფლების დრო არ გაეგე ბინებია არაბე თუ ზრათე საზოგადოებისთვის, არამედ მათ ე. ი. დეპუტატების მახლობელ ნათესავებისთვისაც კი. უკანასკნელთ ადმინისტრაციამ განუცხადა, რომ დეპუტატებს განთავისუფლებდენ დილის 9—10 საათზე, გაანთავისუფლეს კი დილის ექვს საათზე.

— ქ. ოდესაში განაახლეს ებრაელებზე თავდასხმა. 5 აგვისტოს საავარკო ადგილ „ლანჩერონში“ რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაესხა იქ მცხოვრებ

ებრაელებს. ესენი ჯერ გაჩხრიკეს და მერე აუტყვეს სროლა. ებრაელების მხრივ არიან დაჭრილები. დამცემთაგან დაიჭირეს რამდენიმე კაცი. ყველა ისინი აღმოჩნდენ არხანგელ მიხეილის კავშირის წევრები.

— პატიგორსკში პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო სტამბა. ბევრი დააპატიმრეს, მათ შორის ქალე-ბიცი.

— კიევის ლუკიანოვის ციხეში 203 კაცი არის ავით სახალოთ.

— ქ. რიბინსკის ადგილობრივ საბავშვო თავმჯდარაში, ექიმების შემოწმებით, 11 პატარა ქალი 8—12 წლამდის აღმოჩნდა გაუბატურებული. ქალებს დაუსახელებათ ამის მიზეზათ თავმჯდარის დირექტორი, 65 წლის მოხუცი, საგუბერნიო ექიმი, მაკაროვი. რადგანაც უკანასკნელი დროებით პეტერბურგში წასული, სასამართლო გამომძიებელს განკარგულება მოუხუბდა დაუკონებლოდ დააპატიმრონ მაკაროვი და მოიყვანონ რიბინსკში.

— სიმფეროპოლში სამართალში მისცეს მღვდელი პრიხოლკო 14 წლის მოსამსახურის გაუბატურებისათვის.

— ამ ცოტა ხანში პოლიციელებმა ქ. პეტროკოვში დაიჭირეს ერთ მოედანზე ჩამოვარდნილი აერონავტი რამდენიმე კაცით. გაწინჯეს ყველანი. უზოვეს მაშინკა, რომლითაც, მათის სიტყვით, განაგებდენ აერონავტს. გამოიჩრკვა, რომ მაშინკა წარმოადგენდა პატარა ფოტოგრაფიულ აპარატს. პოლიციამ აერონავტები დააპატიმრა, ფოტოგრაფიული აპარატი კი ვაგზაზეა სახედრო უწყებაში იმის გამოსარკვევათ, თუ რა მიზენისთვის ჰქონდათ აპარატი აერონავტებს. უკანასკნელნი პრუსიელებია. ეს მეორეთ დაიჭირეს პეტროკოვის რაიონში აერონავტი.

— ტამპოვის გუბერნატორს დაუგზავნია ცირკულიარი, სადაც ის იუწყება, რომ არავითარ შემთხვევაში ტოლსტოის იუბილესი გამართვის საზოგადოებრივ ხასიათს არ მისცემს. ეკრძალებათ მიიღონ მონაწილეობა იუბილეში სახელმწიფო დაწესებულებებს და სასწავლებლებს, რადგან ტოლსტოი ეკლესიიდან განდევნილია და მისი ნაწერები სახელმწიფო მშვიდობიანობის წინააღმდეგეოა.

ო ს მ ა ლ ე თ ი .

როგორც თვითონ სტამბოლში, ისე სხვა დიდ ქალაქებში არსდება კომიტეტები, რომელთა დანიშნულება იქნება ნივთიერი დახმარება გაუწიოს სპარსეთის კონსტიტუციონალისტებს. ზოგ კომიტეტმა უკვე დაიწყო მოქმედება; თავიდანვე ჩანს, რომ ამ მიზნისთვის დიდი ძალი ფული შეგროვდება. ყოველ კომიტეტში შედის ერთი სპარსელი. ამხანაღ სტამბოლში გამოქვეული სპარსელი ბევრია; ოსმალთ დიდ თანაგრძობას უწყევნ მათ: სადაც კი ვინმე სპარსელი გამოჩნდება დიდი პატივით გეგებებიან მას.

— ოსმალეთის საზოგადო სამუშაოთა და ვაჭრობის ახალმა მინისტრმა გაბრიელ-ფენდიმ შეიმუშავა ოსმალეთის მრეწველობის განვითარების ერთკლი პროგრამა; გაბრიელ-ფენდი ოსმალეთის მრეწველობის აყვავებას უცხოეთის კაპიტალის საშუალებით ფიქრობს. „ეს იქნება ოკრის გასაღები ოსმალეთის ბუნების სიმდიდრისათა“, უთქვამს მას საფრანგეთის ერთ ქურანლის-ტისათვის. გაბრიელ ფენდის პროგრამას ჯერ მინისტრთა საბჭო განიხილავს და თუ მოწონებული იქნება, შემდეგ გადაეცემა პარლამენტს დასამტკიცებლათ.

— ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს აღუძრავს საკითხი იმ კანონების შემუშავებისაზე, რომლებიც შეეხება უცხოეთის წარმომადგენლებს—მრჩეველებს. ახალგაზდა ოსმალნი ფიქრობენ ამით ევროპის სახელმწიფოთა თანაგრძობის განმტკიცებას.

— ახალგაზდა ოსმალთა პროგრამის ერთი მუხლი დიდ მითქა-მოთქმას იწვევს საზოგადოებაში. სახელდობრ ის მუხლი, რომელიც შეეხება სკოლურ განათლების მოწყობას. ამ მუხლში ბოლგარები ხედავენ თავიანთი ნაციონალურ უფლების შელახვას. პრესა აგრძობს ახალგაზდა ოსმალთ ამ მხრივ და ურჩევს აერიდონ შოვინიზმს და წრეს გადასულ ცენტრალიზმს.

— რუსეთის წარმომადგენელმა ზინოვიევმა ინახულა 7 აგვისტოს დიდი ვეზირი ოსმალეთისა ქაიამილ-ფაშა და გარეშე საქმეთა მინისტრი თეფიკ-ფაშა, რომელთაც განუცხადა, რომ რუსეთის მთავრობა დიდად თანაუგრძობს ოსმალეთში ახლათ შემოდებულ რეჟიმს და წინადადებას აძლევს უცხოეთის სახელმწიფოებს, რომ მაკედონის რეფორმები მიენდოს თვით ოსმალეთს და შეჩერებულ იქნას ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევა; მარა ამასთან რუსეთი ხელს არ აძლევს თავის პროექტზე და წინადადებას მისცემს ევროპას განახორციელოს ის იმ შემთხვევაში თუ ოსმალეთი თვითონ არ შემოიღებს რეფორმებს მაკედონიაში.

— ემირ-მეჰმედი არ ცნო კონსტიტუცია.

— გეჯასის ვალმა უარი განაცხადა თავის ვილაეტში კონსტიტუციის შემოღებაზე. ახალგაზდა ოსმალნი ეჭრობენ ფაშა, ვაკუუმების მინისტრი კაბინეტთან გავიდა. ოსმალეთის გაზეთები სამინისტროს პროგრამით არ არიან კმაყოფილნი, რის გამოც მოსალოდნელია სამინისტროს ახალი კრიზისი.

— მინისტრთა კაბინეტმა გამოაცხადა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება, მოსოსს სპარსეთთან ყოველგვარი უთანხმოება. ოსმალეთის ჯარი უკანვე იქნება გაწვეული და საზღვრების მომწესრიგებლათ დანიშნავენ ახალი დიპლომატს.

— სომხების პროვინციებში ყადები ახალ რეჟიმის შემოღებას არ თანაუგრძობენ. იტალიანებთან აგრეთვე ქურთების ძლიერ მღელვარებაზე ახალი რეჟიმის წინააღმდეგ. მოსალოდნელია აღედგება მცირე აზიაშიაი. ხმება: ჯარის მე-4 კორპუსი კონსტიტუციას არ თანაუ-

გრძობსო. ამწარათ ქვეყანა მოელის საქმის მეტათ გაართლებას და კონსტიტუციის წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

ს ზ ა რ ს ე თ ი.

თავრიზის საოლქო ენჯუმენმა აცნობა უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და აუწყა ხალხს, რომ შახის მთავრობის ყველა უშუამდგომლობათ და ხელშეკრულობათ უცხოეთის სახელმწიფოებთან სესხის შესახებ უკანონო ცნობს, ვიდრე სპარსეთში პარლამენტი არ დაიწყებს მოქმედებას. უკანონო სესხისთვის კი ხალხი მომავალში პასუხს არ აგებს.

— შაჰმა რევოლუციის ციხე-სიმაგრის—თავრიზის წინააღმდეგ დამსჯელი რაზმით თვით სამხედრო მინისტრი—ანი-ედ-დოულე გაგზავნა. დოულე მოელოდა თავრიზის ადგილათ აღებას, მარა საშინლათ მოსტყუდა. მან სათარხანს მხოლოდ 20 მხედარი გაუგზავნა და დამორჩილება მოსთხოვა მუქარით, რომ თუ არ დაწებდება ის მიუხედავ 6,000 კაცისაგან შემდგარ რაზმს ბატარეით, რომელიც მას უკან მოუყვება. სათარხანი ასეთმა მუქარამ ვერ შეაშინა. მან უმაღლესე გაანადგურა დოულეს რაზმი და ხელთ იგდო ტყვეთ თვითონ მათი სარდალი დოაუეც. ასე რომ დღეს თარიზი სრულიათ რევოლიუციონერების განკარგულებაშია. წესიერება საუცხოვოა. სათარხანის ქარავან-ბანაკის წინ ჩამწყობებულთა ზარბაზნები, რომლებიც მტერს—მთავრობას წაართვეს. რევოლიუციონერებს კარგათა აქეთ მოწყობილი საყარაულო და მხეერავი რაზმები. ასე რომ შაჰის მხედრობას არ ძალუძს მათ მოულოდნელათ თავს დაესხას. სათარხანის ჯარს განუწყვეტილი ემატება ახალ-ახალი რაზმები—ვიდაები, განსაკუთრებით კავკასილიდან.

ზ ლ ვ ა ს.

ზღავე, შენ მშვიდათ ხარ და ხმას არ იღებ...
 მე კი შენს გულზე მშვიდათ ვნაჯარდობ,
 არ ვეპუბები წყნარათ მქვეუ ზვირთებს
 და შენს ვერცხლებერ გულს ვსერავ და ვაპობ.
 ხან მარცხნივ მივქრო, ხან კიდევ მარჯვნივ,
 დამასრიალებს კოხტათ მე ნავი...
 დავტოვე მიწა, შენ მოგებარე,
 დღეუღვე ხმელეთს დარდი მქვეჯნავი.
 იქ ვერ გავმელი, მომწყინდა, ზღავო,
 უმოქმედობა და მხოლოდ ძილი,
 შენ მოგაშურე, მკაცრ ტალღათ, შოშობელს,
 აღარ დამტოვო შენც, მძლავრო, წბილი.
 წამოიქცე, დასქექე მთა-ბარს,
 ზვირთათ ისრები შორს გადატყორცნე,

ნაპირს ეკეთე, კლდე შენგრიც და მეც მსურავი ხარბათ ჩამოკიდე.

შორს გადმისროლე ჩემს ნავთან ერთად, ქვსკნელს ჩამძირე, ზესკნელს ამაგდე და თუ შევწინდე, მხოვრათ ქცეული ყვაყვარანთ კერძათ ნაპირს გამაგდე.

მამ აბობოქრი, ბრძოლათ შემქნელო, მიმოისროლე შეკარი ზვირთები...

ფერე პირჩუმი, ფრთებ შეკვეცილი, გემუღარები, ნულარ იქნები...

მე მძულს, როდესაც ჩემს ნავის კედლებს ეშხაბუნები, ეხლები ნელა

და ლურჯ წალკოტში წყნარათ მწოლარე ქანაობ, როგორც ნაზი პეველა.

მე ტალღა მიყვარს, ტალღა ძლიერი, ქვეყნის შემმძრევი, ლომებრ მქმნავი...

მიყვარს, როდესაც ეღვებებო გიყვით მთა ბარს აწყდება ეს ჩემი ნავი...

ვ. მაღაქიაშვილი.



მაღალს წრეში

პიესა ოთხ მოქმედებათ.

არჩილი—32 წლისა.

გრიშა, კოტე, ლევანი და მისაკვა—არჩილის აშხანაკეი.

ანტა—არჩილის სეფარკეი—25 წლისა.

ღიზა—22 წლისა.

ნესტორი—58 წლისა, სისახურეს ტარეჟე მეფეი ზოლკოვნიკი და ოღა—48 წლისა—ღიზას დეღამა.

გრაფოლი—58 წლის—ნესტორის მეგობარა.

მარამა—გრაფოლის ცოლი.

აფიერები, მოხელეები, ქალიშვილები, ემანუილები, სტუდენტები, გამანახელეები, რესკიმა ქალები, „მამაშა“, „ტაზიარა“, ლოთი და მოსახსხურეები.

მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს ქალაქის სათამაშო კლუბის დაბრახს. მარჯვნივ შემოსავალი კარებია. მამიდების გარშემო მოთამაშენი სხედან, მარჯვნივ ჯგუფ-ჯგუფათ სხები დღანან ფეხზე. ზოგა დანის, მოძრაობა, თამბაქოს კომლია და ხმაურობა. მოთამაშეთ შორის აქა-იქ ქალბეიკ ურევიან. ისმის მიელ მოქმედების დრო, ფულების მხრაილი და ყვირილი: *сирвалъ, сто, пятьдесятъ пятьсотъ, триста, отъѣтъ, отъѣтъ, двѣсти, отъѣтъ*. დრო და დრო სიცილი ისმის. რამდენიმე კაცი მაგიდის გარშემო სხედან. წინ კუთხეში სასმელსა სვამენ. ზოგი მილი-მილის.

ერთი. (მიუხალხოვდება მეორეს) თუ ღმერთი გრწამო, ხუთი მანეთი მომეცით და ახლავე დაგიბრუნებთ, ასაღები მაქვს.

მეორე. მოთმინეთ და, როცა აიღებთ, მაშინ ითამაშეთ, რაღა სხვას აწყუბებთ?

პირველი. ახლავე დაგიბრუნებთ. ნუთუ რამოდენიმე წუთით ხუთ მანეთზე არ მენდობით?

მეორე. ერთი წუთის მეთასხედ ნაწილზედაც ერთ კაპიეს არ გენდობთ (ჩაიღლის).

პირველი. (მივა მესამესთან) ხუთი მანეთი მომეცით, —ახლავე დაგიბრუნებთ.

მესამე. არა მაქვს.

პირველი. მამ სამი.

მესამე. არა მაქვს.

პირველი. მამ ერთი მაინც მომეცით, თუ ღმერთი გრწამო.

მესამე. (ამოიღებს მანათს) აჰა და მომშორდით თავიდან. (ერთი მოთამაშე ქალაქის ფულს ითვლის გახარებული. მიუახლოვდება სტუდენტს).

სტუდენტი. თქვენ კარგი ფეხსა ამაღარხართ დღეს, ბლომათ მოგვიტო.

მოთამაშე. (ფულს ჯიბეში ჩაიდებს და ცივათ) არც იმდენი. კასის ფული გამოყვა და წვაგავ, ახლა ისევ ის ამოვიღე მხოლო.

სტუდენტი. ოცდახუთი მანათი უნდა მასესხოთ ხვალამდე.

მოთამაშე. კასის ფული რომ არ იყოს, დიდის სიამოვნებით (მიდის).

სტუდენტი (თვალს გააყოლებს). *Тыфу, ты мерзавецъ!* აძლენი ფული მოუგია და ოცდახუთ მანათსაც კი არ იძლევა. (მიდის აქეთ-იქით, თითქოს ვისმე ძეგსო, მიატანს ერთს მოთამაშეს თვალს, რომელიც ქალაქის ფულით ხელში მოდის წინ. სტუდენტი წამოეწევა მას).

სტუდენტი. ვლადიმერ ალექსანდროვიჩი! თქვენ დღეს კარგი კლუში ავილიათ!

მოთამაშე. არა უშავსრა.

სტუდენტი ხუთასი იქნება!

მოთამაშე. არა, სამასიც არ არის.

სტუდენტი. რას ლაპარაკობთ! ხუთასზედ მეტიც იქნება,—ხელში აღარ გეტევთ, იცით რა? ხვალამდე ოცდახუთიანი უნდა მასესხოთ.

მოთამაშე. დღესვე უნდა დაურიგო მოვალეებს.

სტუდენტი. ოცდახუთიანი რომ არ მომეცეთ, ყელი გამომჭერთ. ხვალვე დაგიბრუნებთ უსათუოთ.

მოთამაშე. ღმერთიანი ვალები მაქვს გასასტუმრებელი.

სტუდენტი. ვლადიმერ ალექსანდროვიჩი! ექვსას მანეთამდე აჰკარით და რაღაც ოცდახუთიანის სესხება გეძნელებათ ხვალამდე. პატოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ხვალ დაგიბრუნებთ (მოთამაშე აძლევს ოცდახუთიანს და მიდის), ხვალ უსათუოთ მიიღებთ, უსათუოთ (მოთამაშეებში გაეწევა).

ლოთი. (მაგიდის მოსჯდომია და ხშირათ ისხამს ღვინოს, დაკლილ ქიქას ღონიერთ არტყამს მაგიდაზე, აქეთ-იქით იხედება, თავს აჩქევს, ხელებს შლის და

ხშირათ იღივება) მილიონი! ეცხ, მილიონი! ხა, ხა, ხა, ხა! ორრასი ათასი! ხა, ხა, ხა, ხა! (ღვინოს ჩხხაჰს და სვამს) ორრასი ათასი, ორრასი ათასი! ხა, ხა, ხა, ხა! (ადგება ბარბაცით და მიუახლოვდება ერთ მოთამაშეს) არ გინდათ მოიგოთ ორრასი ათასი? ხა, ხა, ხა, ხა! ორრასი ათასი, გვემისთ ორრასი ათასი! (თითს შუბლზე მიადებს და ბარბაცით გამოტრიალდება უკან, დაჯდება ისევ მაგიდასთან და სვამს) ეეი, ღვინო, ღვინო! (მოდის მოსამსახურე ბოთლით, გახსნის და წინ უდგამს) არ გინდა ორრასი ათასი? ხა, ხა, ხა, ხა! ორრასი ათასი გვემის, რა ფულია ორრასი ათასი? (მოსამსახურე მიჩერება, შემდეგ ცალიერი ბოთლი მიაქვს და გადის) ხა, ხა, ხა, ხა! მე კი მოვიგებ ორრასი ათასს! ღმერთმანი მოვიგებ! დაესვამ ორმოცდაათი ათასს, მერე ასი ათასს, ღმერთმანი დაესვამ და მოვიგებ ორრასი ათასს! ხა, ხა, ხა, ხა, ტაბლო! ორრასი ათასი, ტაბლო! (დალევს ღვინოს, შემდეგ მაგიდაზე თავს დასდებს და დაიძინებს. კარებიდან შემოვა ორი ყმაწვილი, მიხედ-მოიხედავენ, წინ წამოიწვიენ).

პირველი. ვერა ანტრონგანს ჰხედავ?

მეორე. (აქეთ-იქით იხედება) სად არის?

პირველი. (ანიშნებს) აი იმ კუთხეში.

მეორე. (გახედავს) ვხედავ, ვხედავ. აი ერთი ეგ ჩამადგებია ხელში!

პირველი. გუშინწინ ერთი სიტყვა გადაეუქარი და კინაღამ კუდიტ ქვა არ მისროლია პატოსანია.

მეორე. რა შვილია! ჯერ არ დასცხობია, თორემ გამოაჩნდებოდა, რაც პატოსანია.

პირველი. მართალია, კარტი ძალიან მოსდის.

მეორე. ერთი ზედისზედ წააგოს ორჯერ და მერე ასიანთ ჩავივლებ ხელში.

პირველი. ეგ კი დიდი ტყუილი მოვივიდა. მე ორასიანსაც არ დავიშურებ.

მეორე. იცი, რას გეტყვი? ჩავიქირით როგორმე.

პირველი. როგორ?

მეორე. ვეთამაშოთ შენებურათ. (გვერდში ხელსა ჰკრავს და იცინიან) თუ ერთი ორჯერ ზედისზედ წააგო, იცოდ, მერე ჩვენია.

პირველი. მაშუ ვცალოთ!

მეორე. რატომაც არა! ცდა ბედის მონახევრეა. (მიდიან და ხალხში ერევიან. გამოივლიან სტუდენტი და ყმაწვილი).

ყმაწვილი. ესეც შენი ვახშიმი (იცინის).

სტუდენტი. (დაღონებული) ნეტავი შენ, რომ სიცილის გუნებაზე ხარ.

ყმაწვილი. შენა სტირი და მეც ვიტირა?

სტუდენტი. ოთახის ქირა მინც ვამესტუმრებია. დასახლისი აღარ დამაყენებს ოთახში.

ყმაწვილი. შენ რომ თამაშობ, ჩემო ძმაო, ისე თამაში არ შეიძლება. ისეთ კარტზე ჩადიოდი ფულს, რომელმაც ვერას გზით ვერ მოვიგებდა.

სტუდენტი. რაღა ჩემმა ვეღარ მოიგო! სამჯერ იგებდა ზედისზედ ის კარტი.

ყმაწვილი. საქმეც მაგაშია, რომ სამჯერ მოიგო ზედისზედ. აქედან უნდა გცოდნოდა, რომ მეოთხეთ მოგება საეჭვო იყო. მართლა და სულ ერთს ხომ არ მიადგებოდა კარტი ბრმასვით. მოვა რამდენჯერმე, ისევ გატრიალდება.

სტუდენტი. ასეა თუ ისე მთელი ერთი თვე უკაპეიკოა უნდა ვიყო. ამისი მამგონი ამოვარა.

ყმაწვილი. არა გიწავსრა. აწი უფრო ფრთხილათ ითამაშებ.

სტუდენტი. აწი! აწი! ამ ერთ თვეს რაღა ვუყო? პურის ფულიც კი არა მაქვს.

ყმაწვილი. შე მამაცხონებულო! რამდენჯერ მიტყვამს: როცა მოვივა ფული, იყიდე ჩაი, შაქარი, ერთი თვის წინდწინ მიეცი მებურეს რამოდენიმე მანათი და შემდეგ სულ რომ წააგო, ჩაი და პური მინც გექნება მეთქი!

სტუდენტი. იცი, რას გეტყვი? მამაჩემს ტელეგრაფა უნდა მისწერო.

ყმაწვილი. შენი შვილი კლუბში ჩაქწერა-თქო? (იცინის).

სტუდენტი. ავით არის ძალიან და ფულია საქირო-თქო.

ყმაწვილი. (სიცილით) ეს ადგილია, მაგრამ თუ ხვალვე გავაგზავნეთ, ექვს აიღებს. ამ რამოდენიმე დღეს მე შეგინახავ და მერე გავაგზავნით? **Нико болень, вышли еще**—რამდენი?

სტუდენტი. **пятьдесят**, მაგრამ **вышли** კი არა, **переведи по телеграфу**.

ყმაწვილი. ვი თუ ისიც აქ ჩატოვო მაღე. იცი, მე სამი მანეთი მაქვს ჯიბეში. გინდა, წავიდეთ ვახშიმი ეკუპოთ; გინდა ვითამაშოთ.

სტუდენტი. შე ოხერო! აქამდინ სად იყავი? რა დროს ვახშიმი, იქნება ცოტა მინც ამოვიგოთ. წამო, ბედი ვცალოთ (მიდიან, ცოტა ხნის შემდეგ წინ გამოვა ახალგაზდა ქალი, დაღონებული მიდი-მოდის და შემდეგ ჩამოჯდება).

ქალი. ღმერთო ეს რა მომივიდა? ასე საძაგლათ არასოდეს არ მითამაშნია. მივლი თვის სახარჯო ფული და ბანკში შესატანი სულ წავაგე... ეს რომ ჩემმა ქმარმა გაიგოს, ჩვენი ცოლქმრობა გათავდა. არა და ხვალ უკანასკნელი ვააა, რა შევიტარო ბანკში? მზარეულს რა მივსცე?... ვის გამოვართვა, რა ვისაშუალო? ვინ მომცემს? როგორ ვიფიქრებდი, თუ ასე გატრიალდებოდა კარტი ზემი ხელიდან. (გამოჩნდებიან ორი ყმაწვილი. ქალს მიჩერებია).

პირველი. თუ ჩავიდე ხელში, ახლა ჩავივდე. შენ რამდენი გაქვს ფული?

მეორე. ოთახსი.

პირველი. მეც ექვსასი, საქმარისია. აბა მომეცი.

(მეორე ჯიბიდან იღებს ფულს და აძლევს). ამაღამ ხომ არ დაგქორღებ?

მეორე. არა. ხვალ აქ ვიქნები და მომიტანე.

პირველი. უსათუოთ. ხუთასი მანათი წააგო, გაემის? ხუთასი. ასე საძაგლათ ჯერ არ უთამაშნია. მერე ქმარმაც არ იცის, რომ ეგ აქ თამაშობს; მაშასადამე იმას ვერ გაუშხვლს. ფული მაგისათვის ფრიათ საქირია, როგორც ეტყობა, და მეჩინა, ვეღარ დამისხლტება ხელიდან. წარმოიდგინე, რამდენი ხანია, მე მაგას უკან დავსდევ. Не дается стерва. თუმცა კარტის თამაში უყვარს, მაგრამ სხვებ პატიოსანი ქალია,—ახლოს არ წაიქარა.

მეორე. სრული დარწმუნებული იყავი, რომ ახლაც მშრალათ დატოვებს.

პირველი. ენახოთ. რაც უნდა იყოს, ბედი ჩემსკენ არის და მომენტი საუცხოვოა.

მეორე. მაშ სცადე. ვისურვებ სრულ გამარჯვებას, თუმცა ძალიან მეექვეება. მე კი წავალ ახლა.

პირველი. ნახვამდის. (მეორე ხელს ართმევს და მიდის. პირველი გვიღვ-გამოივიღის, შემდეგ ქალთან მივა). საღამო შევიდობისა ელენა ივანოვნა! რას დადღვიქრებულხარათ?

ქალი. (ეღს ართმევს) როგორ რას დავფიქრებულვარ,—ერთი კარტი არ მომსვლია დღეს, ერთი.

უმაწვილი. სულ ხომ თქვენ არ უნდა მოგივიდესთ? ხან თქვენი მოვივით, ხან სხვას.

ქალი. წარმოიდგინეთ, ხუთასი მანათი წააგვე ხელათ; ხუთასი მანათი. ასე სულელურათ არასოდეს არ მითამაშნია.

უმაწვილი. ხან მოივებთ; ხან წააგებთ. კარტმა ასე იცის.

ქალი. ნეტავი ახლა დამაღწევია ამ მდგომარეობიდან თავი და პირობას დაესდებ, რომ კლუბში ფეხი აღარ შემოვიდგვა.

უმაწვილი. ხვალაც აქ გნახავთ; ზეგაც. მიჩვევა აღვილია, გადაჩვევა კი ფრიათ ძნელი. (სიჩუმეა. უმაწვილი უსტვენს, ჯიბეებში ხელს ჩაწყობილი ცალ ქუსლზე ტრანკოლბს და თან ქალს მიჩერებია) სამაგიეროთ მე დღეს ათასი მანათი მოვივებ და ახლა კი დროა, რომ წავიდე, თორემ, თუ კიდევ დავიწყე თამაში, სულ წააგებ. ნახვამდის, ელენა ივანოვნა (ხელს უწყედის, ქალი ხელს ართმევს, მაგრამ არ უშვებს და მისჩერებია).

ქალი. პაველ ნიკოლაევიჩი, მართლა ათასი მანათი მოივით დღეს?

უმაწვილი. ვის უნდა მოვაცუყო!

ქალი. მიქნით სიკეთე. ხუთასი მანათი მასხსხეთ.

უმაწვილი. ერთის პირობით: წავიდეთ ნომერში და იქ მიიღებთ ფულს.

ქალი. (ხელს გაუშვებს) Нахаль!

უმაწვილი. როგორც გენებოხთ (თავს უკრავს და ნელის ნახიჯით მიდის).

ქალი. (დაუძახებს) პაველ ნიკოლაევიჩი, პაველ ნიკოლაევიჩი!

უმაწვილი. (მოკრიალდება) რას მიბრძანებთ?

ქალი. თქვენთვის არაფერია, რომ მასხსხოთ და მეკი მეტათ უხერხულ მდგომარეობიდან გამომიყვანთ, გაქირვებიდან დამისხნით. ნუთუ გაქირვებაში ხელი არ უნდა გაუშართოთ თქვენს კარგს ნაცნობს და ისიც ქალს?

უმაწვილი. მე მზათ გახლავართ, დიდის სიამოვნებით; მხოლოდ თქვენ არა გნებავთ, გამლანძღვთ კიდევ.

ქალი. როგორ არა გრცხვენით! ხუმრობით რასაც გეტყვით, განა უნდა გეწყინოთ?

უმაწვილი. თუ გნებავთ, მობრძანდით და ფულს მიიღებთ,—მე მზათ გახლავართ.

ქალი. თქვენ ნამეტანს თხოვლობთ.

უმაწვილი. სულ ცოტას, ელენა ივანოვნა! (საათს დაჩერებია) ჩვენ ერთათ ვაგატარებთ ორ საათს, ვივანშემებთ და თორმეტ საათზედ თქვენს სახლშივე იქნებით.

ქალი. ეს როგორ შეიძლება! რომ დაგვიხახოს ვინმემ, ან გაივოს, ხომ მომეკრა თავი! რატომ არ შედინხართ ჩემს მდგომარეობაში?

უმაწვილი. ელენა ივანოვნა! თქვენ მაგისი დარდნი უკვეთ. ისე წავიყვანთ და გამოვიყვანთ სასტუმროდან, რომ ვერაინ ვერ გაივებს და ვერც ვერაინ შეიტკობს.

ქალი. როგორ შეიძლება? ლაქიები ხომ დაგვიწახავენ?

უმაწვილი. მერე რა ვუყოთ, რომ დაგვიწახავენ? ვახშამს მოვიტხოვთ ცალკე ოთახში, ვითომც თქვენ ცოლი ხართ და მე ქმარი,—მორჩა და გაათავდა.

ქალი. (ფიქრობს) არა, არა, არ შემიძლია!

უმაწვილი. ნება თქვენია (მიდის).

ქალი. (უძახის) პაველ ნიკოლაევიჩი! (უმაწვილი მობრუნდება) რა შეუბრალებელი ხართ!

უმაწვილი. მეკი არა თქვენა ხართ შეუბრალებელი, თქვენ, ელენა ივანოვნა.

ქალი. (ყუყუანით) წავიდეთ, მაგრამ ჯერ მე წავალ და იქ, ქუჩაში მალოცდით.

უმაწვილი. ძალიან კარგი.

ქალი. (ადგება) მალე კი წამოდი.

უმაწვილი. ახლავე (თავს უკრავს და მიდის ხალხში).

ქალი. ღმერთო ჩემო! უცხო კაცთან ერთ ნომერში! ეს ხომ ქმრის ღალატია. (თვალზე ხელს მიიფარებს და შემდეგ ჩამოიდებს) აღარასოდეს, აღარასოდეს აღარ გამეორდება ეს ჩემს სიცოცხლეში (გადის).

უმაწვილი. (გამოკრიალდება უკან) ხა, ხა, ხა, ხა, (გულში ხელს ჩაიკრავს) ყოჩაღ ბიჭო! სამი თვეა უკან დაგდევ და ახლა ხომ ჩემი იქნება. (მიდის ჩქარა გასავალ კარებისაკენ. მოისმის: ТРИСТА, ДВѢСТИ, ОТВѢТЬ, ДВѢСТИ, ПЯТЬСОТЬ, ОТВѢТЬ, ОТВѢТЬ).

ლოთი. (გამოიღვიძებს) ასი ათასი, ორასი ათასი, ხა, ხა, ხა, ხა! რომ მინდოდეს, ახლავე მოვივებ ორ-

ასი ათასს, ახლავე! რა არის ორრასი ათასი, მილიონი, მილიონი? (ბოთლს აიღებს და დაწურავს ჭიქაში) ეი, ლენო, ლენო! (მოაქვს მოსამსახურეს ლენო, ხსნის ბოთლს და ცალდერი მოაქვს) ლენო, აი მესმის ორრასი ათასი, ორრასი ათასი სისულელეა! მილიონი. ეს უნდა! ლენო კი, ლენო! (დისხამს და დაღვეს, შემდეგ ჭიქას დაარტყამს) ბრრრ. (თავს გაიქნევს, ადგება, ხელებს ჩაიქნევს და გადის. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოდის არჩილი, მიხაკო და ლევანი.) აა, კნიაზ არჩილ, კნიაზ არჩილი! (ისმის ხმები არჩილის შემოსვლაზე. ვაიღღ-ვაიღღიანი და შემდეგ მოთამაშებში გაერევიან), კნიაზ არჩილ, ჩვენთან მობრძანდით, კნიაზ არჩილ, ჩვენთან. (ისმისწხები. ისმის ისევ ფულგების ჩხრაილი და ჩვეულებრივი ხმები: **СТО, ТРИСТА, ОТВѢТЬ, ДВѢСТИ, ОТВѢТЬ,** და სხვ. თამაში გრძელდება როდენიმე ხანს, შემდეგ გამოჩნდებიან წინ არჩილი, მიხაკო და ლევანი).

არჩილი ისევ წავავე ხუთასი მანათი, რომ კავიცი აღარ დამრჩენია.

ლევანი. როგორ შეიძლება ავტო თამაში?

მიხაკო. შენნაირი სტაკეები მე არ მინახავს.

არჩილი. სხვანაირთ თამაში მე არ შემძლია. თუ ითამაშო, ბარემ ისევ უნდა ითამაშო, რომ გემო ჩაატანო, თორემ სულ არ ღირს თამაში.

მიხაკო. ამიტომაც წაავე ასე ხელათ ხუთასი მანათი.

არჩილი. არაფერია! ბევრი ამისთანა წამიგია, მაგრამ ისევ ეს არჩილი ვარ.

(ერთი მაგიდიდან ისმის შეზარხოშებული კაცის ხმა).

ხმა. კნიაზ არჩილ, აი მე ჩამოვდივარ. (ლონივრათ დააგდებს მაგდაზე ქალღლის ფულის შეკრულ კონას) იმედია, კარტს აიღებთ. (სიჩუმეა) კნიაზ არჩილ, პასუხს ველი. (სიჩუმეა. მოთამაშენი ფულის კონას თვლიან. **ПЯТЬСЯЧЬ** — იხსის ერთი). კნიაზ, რას გაჩუმებულხართ? (არჩილს თანდათან გაბრაზება ეტყობა) ხა, ხა, ხა, ხა, რას გაჩუმებულხართ, კნიაზ? თუ არა გაქვთ, მითხარით და გასესხებთ.

არჩილი. მასესხე (სწრაფათ წავა იმისკენ და სილას გაარტყამს. შეიქნება ჩოჩქოლი. ყველა ზეზე წამოტება. ზოგი არჩილს მიხეხევა, ზოგი შეზარხოშებულ მოთამაშეს).

შეზარხოშებული მოთამაშე. ამას არ ვაპატიებთ.

არჩილი. მერზავეც! გაჩუმდი, თორემ სულ კბილებს ჩაგამტრევე. (მოჩხუბარნი აქეთ-იქით მიჰყავთ. კლუბის ზედამხედველი შემოვა და მივა არჩილთან).

ზედამხედველი. კნიაზ! უკაცრავათ კი გახლაფართ, მაგრამ ოქმი უნდა შევაყენოთ, კანონი გვავალებს.

არჩილი. ოქმი კი არა თუ ამისთანა ვერებსა და გახეთქილებს აქ სიარული არ აუკრძალეთ, ისეთს სკანდალს მოვახდენ, რომ სიზმარშიც არ გზმანებოდეთ. (ზედამხედველი თავსა და ხელებს გააქნევს და მიდის).

ლევანი. ახია მაგისთანა ვერზე?

მიხაკო. ძალიანი სილა კი მიილა.



არჩილი. დიდხანს კი მოვეუთმინე, მაგრამ იმდენი ჰქნა, რომ სული ყელში მოიყვანა. ამას იქით ჰქუეს ისწავლის. (არჩილს შემოუერთდება ექსიოდე ყმაწვილი). იცით, რა, ყმაწვილებო! ხელი მექავებოდა და მოვიფხანე. ახლა ყელი მეფხანება და წავიდეთ, ერთი ჩვენებურათ წავიქეფეთო! ლევან! თქვენ წინდაწინ წადით და შენ დამაზნადიე შენებურათ. მეც ახლავე მოვალ ჩემი კუცკა-მუცკათი (მიდის).

ლევანი. ძალიან კარგი, ძალიან კარგი! აბა ჩვენ წავიდეთ და დავამზადოთ ყველაფერი. რა გოგოა, ის შეჩვენებული! (გადიან ნელ-ნელა. სხვები თამაშობენ. ისმის ფულგების ჩხრაილი და ჩვეულებრივი ძახილი: **ОТВѢТЬ, ТРИСТА, ПЯТЬСОТЬ, ОТВѢТЬ, ДВѢСТИ, ОТВѢТЬ, ОТВѢТЬ, ТРИСТА, СТО, ЧЕТЫРЕСТА.**

(ფანდჯ ნელ-ნელა ეშუება)

(შემდეგი იქნება)

განი



ნერონის დროის ცირკში.


(უკუღვნი მ—ნიკას)

ზოგიერთსავეთ გიჟურ სიყვარულს არ აპყობია ჩემი ოცნება, მიყვარხარ მისთვის, რომ შენში ვპოვე აღამაინი—პატიოსნება.

ვერ გამაკვირვებს შენი სიტურევე და ვერც მომხიბლავს ვე შენი სახე, მიყვარხარ, რადგან ბუნავ ხალხისთვის ერთგულად შრომა შენ დაისახე!

მაშ, მეგობარო, მეც შენთან ერთად, ერთად ვატარო წამების ჯვარი; სიმართლე დავსვათ ცხოვრების მიზნათ ნუ დავგერქმევა სიოცხლით მკვლარი!

იონა თლულელი



ამერიკელ სოციალისტების ჰანტიკატაგიდან.

(დასასრული. *)

დიდი აზრთა წინააღმდეგობა და კამათი გამოიწვია მეორე, პარტიისთვის დღევანდელ სოციალ-პოლიტიკურ პირობების მიხედვით არა ნაკლებათ მნიშვნელოვანმა საკითხმა, სახელდობრ—როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს პარტიამ, ამ უკანასკნელ დროში ძლიერ გაძლიერებულ, მასიურ განმოსახლების მიმართ. ესლაც ამ კითხვის გადაწყვეტის დროს პარტიატავი ორთ გაიყო. კითხვა პარტიათ იყო დაყენებულ: მისაღები არის ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონგრესის მიერ შტუტგარტში გამოტანილი გადაწყვეტილება გადასახლ-განმოსახლების შესახებ ჩვენთვის, თუ ის უეარგისათ და შეუწყნარებლათ უნდა იქნას აღიარებული დღევანდელ პირობათა მიხედვით? ერთი ნაწილი დღევანდებისა, — მათ შორის ნეგრი დღევანდებიც, — შტუტგარტის რეზოლიუციის მხარის დატერს და მიღებს ურჩევალ კრებას, მეორე კი იმ აზრისა იყო, რომ სანამ პარტიატავი რაიმე საბოლოო დადგენილებას მიიღებს, საჭიროა ამ კითხვის ადგლობრივთ დაწვრილებით შესწავლა და გამოკვლევა, რომ მით პარტიამ არა სასიამოვნო შეცდომები და ცოდვები თავიდან აიშოროს და პირნათლათ შეხედვა შეეძლოს იმათთვის, ვისიც ინტერესების დასაცავათაც ის მოწოდებულია. სწორეთ ამგვარი რყევა და გადაწყვეტილება გამოსკვივის მიღებულ რეზოლიუციისაშიაც, რომელიც აქვე სავეებით მომავს:

„სოციალისტური პარტიის პარტიატავი აცხადებს, რომ მთავარ საფუძვლათ ბრძოლისა გამყვლეველ და გაყვლეველ კლასთა შორის და ძირითად მომენტათ

მთელ პოლიტიკურ სოციალისტურ მოძრაობისა უნდა აღიარებულ იქნას ეკონომიური ინტერესები მუშათა კლასისა. თანახმთ ამ პრინციპისა, მუშათა კლასი ვალდებულია მთელი თავის ძალ-ღონით გაილაშქროს ყველა იმ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რომლებიც მის ეკონომიურ ინტერესებს ეწინააღმდეგება და ემუქრება. მასიური განმოსახლება ცხოვრების ძლიერ მცირე მოთხოვნილებების მექონე მუშების ადელი შესაძლებელია გადაიქცეს დიდ საფრთხეთ, ადგილობრივ მუშებისათვის, რომელთა კულტურულ-სოციალური განვითარება ვაცილებით მაღალია და რომელთა მოთხოვნილებებიც უფრო მრავალი და უფრო განვითარებულია. ამ მუშებისთვის იმ უფლების წართმევა, რომ ნაკლებ მოთხოვნილებების მუშათა განმოსახლების განზრახვას წინააღმდეგ, იქნებოდა კლასთა ბრძოლის მაღლა ბურჟუაზიულ იდეალის დაყენება. სწორეთ ეს პრინციპთა, რომელიც აუცილებლათ გვიძილებს ჩვენ უარყვით და სასტიკთ ვებრძოლთ იმგვარ განმოსახლებას, რომელიც ბურჟუაზიულ წრიდან გამომდინარეობს და ხელოვნურათ ძლიერდება. აქვე სოციალისტური პარტია აღნიშნავს, რომ დასახლებული აზრი არ წარმოადგენს რაიმე კანონს, რომლის მიზანთა განსახლეროს და უარყოს გადამოსახლება მხოლოდ რომელიმე ერთ რასის, როგორც ასეთისა.

რასების სხვა და სხვაობის კითხვა, რომლის ასეთუ ისე გადატკა ნაციონალურ კონვენტის მიერ უკვე დაწყებულ საქმეში დიდ როლს თამაშობს, და რომელმაც ჩვენ ამხანაგების ერთ ნაწილში კიდევ დაჰადა აზრი მთელ აზიელების გამოარცხვის საჭიროებისა, აი ეს კითხვა ჯერაც საკმარისათ და ჯეროვანათ გამოკვეული არ არის, რომ ესლავე პარტიატავს რაიმე გადაწყვეტილების მიღება შეუტომილად შეეძლოს. ამისათვის ჩვენ წინააღმდეგობა ვიძლევეთ, საკითხის მუშათა კლასისათვის დიად მნიშვნელობის გამო, ჯერჯერობით არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს ადგილობრივთ ვაცნობა და შესწავლა გადასახლ-განმოსახლების კითხვისა და დრო გამოშვებით ამ თავითვე თავისი გამოკველების პარტიულ პრესაში გამოკვეთება, რათა ამათ თვით პარტია წაქვებულ იქნას ამ საკითხის შესწავლაზე. ვრკელი საფუძვლიანი მოხსენებაც წარმოადგენილ უნდა იქნას მომავალ პარტიატავზე.“

წვირი გლენობასთან დამოკიდებულების საკითხს არ გამოუყვევია დიდი კამათი. წარმოადგინეს რეზოლიუციის ორი პროექტი, რომელთა შორის არავითარი პრინციპილური განსხვავება არ იყო. რეზოლიუცია, რომელიც უძრავესობისაგან მიღებული იყო, — თუმცა ინდუსტრიალურ ქალაქებიდან წარმოადგენლები მის წინააღმდეგ აძლევენ ხმას, — შემდეგია:

„სოციალისტური პარტია მისსრავის შენება-აღორძინებისაკენ და არა ნგრევა-განადგურებისაკენ, და რადგან ის იცავს წინ და არა უკან მსვლელობას, ამისა-

*) იხ. „ჩვენი კვლი“ № 12

თვის ხდის თავის თავს ვალდებულად წვრილ გლეხებს დაეხმაროს; პირველყოფილსა დაეხმაროს მით, რომ ნაციონალური სამეურნეო ინტერესები განსაზოგადოებრივებულ იქნას, მაგრამ არა მოგება-ყვლეფით გატაცებულ პირების, არამედ მომხმარებელთა სასარგებლოთ. ამის და მიხედვით ეხლა ჩვენ ვურჩევთ გლეხობას გაითვალისწინოს და შეისწავლოს სოციალისტურ-კოოპერატიული ეკონომიები წინააღმდეგ ინდივიდუალურ კონკურენტიაზე აგებულ მეურნეობისა და არსებობისათვის ბრძოლაში თავისი პოლიტიკური ძალა თავისავე კლასის პარტიას შეუერთოს და შეუკავშიროს. აქვე დაიქნებოთ ეცხადებოთ, რომ გლეხებისთვის მიწოდება რაიჲ სხვისა, გარდა ნაციონალურ სამეურნეო ინდუსტრიების განსაზოგადოებრივობისა, არ იქნება საკეთილდღეო, არ იქნება მისაღები და არ იქნება სოციალისტური“.

გვითია ზემოდასახლებულ სამი საკითხის შესახებ მიღებული რეზოლუციები.

მ. მაკობლიშვილი.

პ რ ო შ ი ნ ც ი ა

ს. მათხოჯი (ქუთათის მახრა). დიდი ხნის გავლის შემდეგ, როგორც იქნა, გველინის ყველაფერში იმედ-დაკარგულ გლეხებს წვიმა. წვიმამ გვაღელსაგან ვაციითლებული ბუნება ააშწვანა და ყველაფერი გამოაცხლა. მაგრამ სარგებლობასთან ერთათ დიდი ზარალი მიაყენა მთა ადგილზე მცხოვრებლებს. ნიაღვარა ერთბაშათ წალეკა სიმიწლები, წაიღო წისქვილები, და ახრჩო რამოდენიმე სული საქანელი. აღიდებულმა მდინარემ „წუნების წყალმა“ იმხვევრბლა ახალგაზრდა 24—25 წლის გლეხი.

ეს მდინარე აგრეთვე დიდ ზარალს აძლევს ჩვენს სოფელს უმეტესათ ზაფხულობით. ეს მდინარე ჩვენს სოფელში დანაწილებულია რამოდენიმე შტოებათ (ერთ კლაპოტში არ მიმდინარეობს), რომლის სიგანე ალღავეს უდრის 300—400 საეცს და ეს საშუალებას აძლევს წყალს თავისუფლათ დაეაგრეოს ნაპირის ადგილები. ბევრ მოსახლეთ აყრას უქადის, საქიროა ოთხხუთ ალღავს დამპის გაკეთება, რომ წყლისგან მოყენებულ უბედურებას ასტდეს გლეხები; მაგრამ რა ექნათ, ისეც ათასჯერ გამავალტყავებულმა გლეხებმა? შვეფელე-იმ აღარსაიდარ გვიჩანს! ჩვენთვის არავის სცალია, მხოლოდ გადასახადის ფული კი მიეცეთ და ეს გლეხების ბედნიერება რაში ექირებათ.

კარტის თამაში, ლოთობა, არღანზე ქეიფი, მიუხედავთ იმისა, რომ ბევრი ენერგიულათ ებრძოდა მას, მაინც უმაღლეს წერტილამდე განვითარდა.—ასე რომ 8—9 წლის ბავშვებიც თამაშათ თამაშობენ. მოთამაშეთა რიცხვს შეადგენს უმეტესათ ახალგაზრდობა...

სამწუხაროა, რომ ახალგაზრდობა, მომავალი ცხოვრების ბურჯნი, რომელიც უნდა შექმნას საუკეთესო მერმისი, ასეთ, სამარცხენო და საზნაზარ საქმეზე ხარჯვენ მთელ თავის ენერგიას და თავისუფალ დროს და გონების განვითარებას კი ყურს არ უგდებენ.

მათხოველი გლეხი.

ს. მუხაყრუა (სამგრელიის რაიონი). დღეს ჩვენ სოფელში სწორათ შეხედება კაცი ისეთ ოჯახს, რომელსაც ორი-სამი დღის განმავლობაში, გარდა ხილისა, ეკამოს რამე. ზოგი მამაკაცი საღდაც წასულა ფულის საზოგარათ და შინ ცალ-შვილი მშობერ-მწყურვლი დაუტოვებია. სწორათ, ძალიან სწორათ ოჯახის მამა შინ ხელცარიელი ბრუნდება და ამწირათ მთელ სახლობას შიმშილით სიკვდილი წინ უდგება, შეუძლებელია ყველა იმ გაქვიერების აწერა, რასაც ღარიბი გლეხები განიცდიან. ბედნიერი შემთხვევით კარგ პირობებში ჩაყენებული, რა თქმა უნდა, აქაც მოიძებნება, მარა, მათდა სამარცხენოთ, უნდა ითქვას, რომ ისინი წარმოუდგენელი გულგრილობით უტყვიან ღატაჲ გლეხთა ასეთ გაქვიერებას და სიტყვაც არ წამოცდებათ, რომ გაქვიერებულთ დახმარება უნდა. ასეთ „უგულობის“ მავალითს უპირველესათ თვით სულიერი მამები იძლევიან. მათ ხალხის დღევანდელი გაქვიერებული მდგომარეობა სრულიად უყურადღებო დატოვენ და ღრამის ფულის ასაღებათ სწორეთ ეხლა მიუსივს მას პოლიცია, თუმცა მათ კარგათ იციან, რომ დღეს მათი მრველი უსიმინდობით შიმშილით იხრეება.

მღვდლის ღრამის გარდა ამ საზოგადოებას შეწყერილი აქვს კიდევ ექვსი „სტრაფნიკის“ ჯამაგირი. ამ ჯამაგირის ხალხზე გასაწერათ საზოგადოებას ჰყავს რამდენიმე არჩეული პირი, რომელიც ევალებათ მამასახლისისა და მისი თანაშემწეების თანდასაწრებით ხალხს ვადასახალი სამართლიანთ გააწერონ. მარა ამ ვაფბატონებისთვის სამართალი აღარ არსებობს; მათ მომავალი ოთხი თვის ჯამაგირი წინდაწინ ერთათ გააწერეს. ძნელი მისახვედრი არაა, თუ რა უნდა ჰქონოდათ მხედველობაში ამ ვაფბატონებს, როცა ასეთ გაქვიერების დროს ამას ჩაღიოვენ. ამასთან ვადასახალი ყოველთა უმსავსათ და გწურჩევლათ არის გაწერილი. შემთხვევით ერთი თანაშემწის სია წავიკითხე, საღდაც ორმოც მოსახლეში ოთხი შემცლებული პირი არის ვადასახლისაგან განთავისუფლებული და ორის კიდევ, რასაკვირველია, ნახვერათ შეტყვიებული. ამბობენ, იმ პირთაგან აღებული ფული, რაც სიაში არაა მოხსენებული, გამწერლების საკუთრებას შეადგენსო.

იყო ისეთი შემთხვევა, როცა ერთ გლეხს ფული მოსთხოვეს „სტრაფნიკის თანხლებით, ის იმდენათ ღატაკი აღმოჩნდა, რომ „სტრაფნიკმა“ თავის ჯამაგირის დაკლება არჩია და გლეხი ვადასახლისაგან განთავისუფლა.

ანიართ, როგორც ხედავთ, ჩვენ თანასოფელელ გამწვრლობებზე უფრო სინდისიერი და „შემბრალე“ ვიღაც შორეული „სტრანეიკი“ აღმოჩნდა. ყველაფერი ეს ერთ „სამამასხლისოში“.— ორმოც მოსახლეში მოხდა და თუ ამას სხვა ნაწილებს და იქ მომხდარ ამბებს დავუმატებთ, ადგილი მისახვედრია, თუ რა უსამართლობა ბუღობს დღეს მთელ ჩვენ „სამამასხლისოში“.

მუხაყრეული.

მუხათა შორის

ფოთი. ცოტა რამ აქაურ ნოქარ-ქარგლებზე. ამ რამდენიმე დღის წინათ, ერთი ვაჟშარის წყერის წინადადებით შიკარბის ყოფილ ნოქარ-ქარგლას და სხ. და სხ. სსხელსოფეში მომუშავეთ ზრ. კავ. ბუფრა და სარევიზოთა გომისა. სსენებულ თანამდებობის ზირი არჩეულნი ყოფილან წარსულ წლის დეკემბრის დამდეგს. ამ სხის განმავლობაში გავმართეთ მსოფლიო თასა გრუბა, რაც ამტკიცებს მთ გულ-გრადობას სსქმისადმი. დახს, მთ ვერ შეუძრულებათ ზირნათლოთ ის მოვალეობა, რისთვისაც იუენენ არჩეულნი. მოკლე კამათის შედეგ, რადგან ბუფრა უარი განხსნდა, გადაწყდა: აქრჩაოთ გომისა, რომელსაც უნდა მოაწვია სსხო-გადო გრუბს სსქმის მოსაგვარებლათ. გომისა არჩეულ იქნა ექვსი კაცისაგან. მეორე დღეს გომისანი გრუბაც მოხდა. ითა-თბარეს, თუ როგორ მოეკვარებოათ სსქმე, დანაშნეს სსხო-გადო გრუბის დღე და სს... დანაშნულ დღეს გრუბს არ შედგა. აგრეთვე აღარ შედგა მეორეთ და მესამეთ. სსეუ-რადგომ ის არის, რომ ამ გრუბებზე სსქმით აღდგოთ თვით გომისიანი წყერითა მოდოდენ და რაც უფთავრეთას აღდგნ ბუფრას და სარევიზოთა გომისიანს. რით ახსნებთ სსეთი გულ-გრადობა? მე ვიტყვი შეუძრებლობით. მთ არ ესმით რა არის კლასთა ბრძოლა, კლასთა წინააღმდეგობა. მთ უნდა სსხოენებთან მამაშეაღური განწყობადებებით გააუშჯობესთან თავანთი მდგომარეობა; ძალან ერადებთან სსხოენებთან წყენსა ე. ი. სსეთართ, მუშურთ ზოდობეთას წარმოებისა. ასეთას სსხოგადლოთ დღეს ადგილობრეთი ნოქარ-ქარგლათა სარევიზოთა განწყობადებთა, რაც ახსნებთ ამით, რომ უხსნ ცოტათი გაუშჯობასეული ზირბებები აქვთ. მთ აფი-წყვლებათ (ნოქარ-ქარგლებს), რომ ეს ზირბებები სულ მალე შეიწყლებთ თანხმათ სსხოენების ინტერესებისა. დახს, თუ მოზოგებულ უფლებებს დარჩათ არ დაუდგებთ ის შეუმჩნე-ლათ გამოგვეყვება. ეს ახანურთ შეუმხატბათ დღეს ეგვას მხრას და კუთხას მუშებს აქვთ შეტეხული, გარდა ფოთელ ნოქარ-ქარგლების. ესდა მინდა მთი უფრადებთ მიკაქტიო შექმდე: 1907 წ. თანახმათ 15 ნოქარბის კანონისა, გამოიდა გუბერნატორის მიერ ამტკიცებულად სსვალდებულად დღე-გინებლად, რომელად შეიმუშავა დავილობარემის უსრუელმის გომისიანს. სსენებულად დადგინდებთ შედეგებს 16 მუხლისაგან, რომლებიც სსსენებთ ნოქარ-ქარგლების სსსარგებლოთ ღან-რავთარე, თუმცა ჟურჯერობათ არც ერთი მუხლი არ გან-

ხორციელებულა. რა არის ამის მიზეზი? რა და ის, რომ მოზოგებულ უფლებებს დაცვა უნდა და ქალაქზე დაწერად კანონებს ცხოვრებაში გატარება, რისთვისაც ჩვენა ნოქარ-ქარგლები, როგორც წყითლ აფინიზე, ძალან სსენებთ არან. შეთქმესმეტე მუხლას თანხმით, წასულ წელს მოათხოვე-ნოქარ-ქარგლებს დავილობრეთი თვითმმართველობადან მზრუნველების დანახვას და თვანათი კანდაცტებზე წარუდგინეს. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. გუბერნატორმს დაამტკიცა მთი კანდიდატები (რაც უფრო ამ უკანასკნელთ). ამ მზრუნველებს შეუძლიანთ სსვალდებულად დადგინებლას სსენებთ გატარან ცხოვრებაში, თუ ვი მასს მხრას დაუჭერს და დაეხმარება, წინააღმდეგ შეიმთავრება ვი გერაფერსაც ვერ გააკეთებს, და ასეთი, ლეგალურათ უფლებს აღჭურვილი ორ-განხივადია, რომელსაც შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა, უნაყოფოთ გაქრება. სსტორია, ამსახვებთ, მეტო თვითცნობიერება, თუ არ განდათ სსხოენების უფრ მიჭრედ მხრებას ყოფნა. მზრუნველთა შორას (4 კაცია) ორმა უგვე უარი განხსნდათ თვანთ თანამდებობაზე. აი ესდა უნდა ფხიზლობას, მოთხოვოთ ზსუსხი, თუ რისთვისაც ვადაცვლათ და შესაფერი მსჯავოთ დასლოთ. აგრეთვე მთი მტარეო კატე-ბი უნდა წარუდგინოთ თვითმმართველობას დასამტკიცებლათ. მარტო ორი და ოთხი კაცი ვერაფერს გატარებოთ, თუ აქვერც არ დაეხმარებოთ.

საცია მუნჯაძე

გურიის ამბები.

სოფ. ხევი. კარტი, კამათელი, ნარღ, ლუქნებში ქეფი — ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა აქ. როცა ხალხის საუკეთესო ნაწილი—ახალგაზრდა—მთელ თავის ენერგიას სწავლა-განათლებას ანდომებს, ამ დროს ადგილობრივი ახალგაზრდა ზემო აღნიშნული საშუალებებით იქცევის თავს ლუქნებსა და ტყე-ღრეებში. ყუ-რანღ-ვაზბუბებს ნაკლებათ ეტანებიან და არც მოდის თუ შემთხვევით არ მოიტანა ვინმე.

საზოგადოთ, განათლებისათვის არავინ ზრუნავს; სოფლის ის ნაწილი, რომლის მოვალეობასაც ეს შეი-დგენს, კამათელს აგორებს.

სოფ. აკეთი. ამ დღებში მოხდა მთელი საზოგადოების კრება. კრებამ, სხვათა შორის, მსჯელობა იქონია კოპმერიატულ ლექსის შესახებ. კრებამ ერთ ხმათ მოიწონა წესდების პროექტი და ამოირჩია კომისია, რომელიც შეუდგება ფულების კრებას. ვესურვებთ წინსვლას.

სოფ. ზომლეთი. ამ 15 დღის წინთ გაჩნდა საკონლის ქირი. მოწვეულ იქმნა საკონლის ექიმი, მაგრამ მან ვერაფერი სანუგეშო დატარა, რადგან ასაკრელი წამალი თან არ ქონდა და მის გამოწერას რა-

მოდენივთ თვე დასჭირდება თურმე. ხალხმა ენერგიული ზომები მიიღო, რომ იმ კუთხიდან, სადაც ქირია ვაჟინილი, არამც და არამც საქონელი არ ვავიდეს. ზარალი ჯერ-ჯერობით არ არის იმდენათ დიდი.

ნაგომარი. მოკლეს გურიაში ცნობილი ყაჩაღი გრეკოვი, რომელიც ამ ბოლო დროს გაექცა ადმინისტრაციას და განთქმული იყო თავის ყაჩაღობით. როგორც ამბობენ, გრეკოვი თავისვე „მეგობრებს“ მოუკლავთ რაღაც პირადი მიზეზებით.



დედა,

როგორც აღმზარდელი.

(წერილები მუშა ხალხის დღეებისადმი).

თარგანნი ბერმანულიდან*) სვ. კანდ—ისა.

5.

ნუ შექმნი ხელოვნურ განსხვავებას ვაჟსა და ქალს შორის.

შენი სამი წლის ვაჟს ჩავარდნია ხელში ტიკინი და ტკბილათ და ალერსიანათ მხიარულობს და თამაშობს მით, შენ კი არწუნებ მას: „ეს ვაჟების საქმე არაა! როგორ შეგვიძლია შენ დღოფელათი ითამაშო! ეს მხოლოდ ქალებისათვისაა!“ ან და შენი ქალიშვილი მკვირცხლი და გამბედავია, მას არ ეშინია არავითარ ვაჟის და არც ერთ გაბედულ საჯიბრო ეშმაკობას არ გაუდგება განზე. ეს გარეული კატუნია ვაჟთა შორის შესანიშნავ კმაყოფილათ გრძნობს თავის; გაქცევის დროს, მას ვერაფერს გაასწრებს სირბილში. მაგრამ შენ კიხავ მას: „ფუი, გრცხვენოდეს, ველურა გოგავ! განა ეს საკადრისია ქალიშვილისთვის?!“ რატომ ექცევით ასე? არ იტანჯები შენ თვითონ საქმარ მძიმეთ ათას წლების განმავლობაში ქალების დამაგრებელ შევიწროებით? არ იბრძვი დანარჩენ პროლეტარ ქალებთან ერთად ქალების უფლებებზე გათანასწოებისთვის? და თუ ასეა, მაშინ ხელს ნუ უწყობ იმ სამუშაოების ხელოვნურ განსხვავებას, რომლებიც, როგორც ეძახიან—ერთნი მხოლოდ ქალებისთვისაა და მეორენი კი მხოლოდ მამაკაცებს შეეფერება, მაშინ ნუ აღზრდი შენ ბავშვს ძველ და ცრუ მორწმუნეობის მიხედვით. ნება მიეცი ვაჟებს და ქალებს ერთად ითამაშონ და იმუშაონ, რომ ისინი ერთ დროს კარგი თანამგრძობი და ამხანაგები შეიქმნენ.

6.

შენ ბავშვებში არც ერთს არ მისცე უპირატესობა.

შენი უმცროსი შვილი დაიბადა განსაკუთრებით ტკივილებში და შენ განსაკუთრებით გიყვარს ეს პატარა არსება. სანამ იგი უშემწყო მდგომარეობაში იყო-

ვება და შენ მას განსაკუთრებით სჭირახარ, შენც შეგიძლია განსაკუთრებული ალერსით და მოვლით მოეპყრა მას, დანარჩენი შენი შვილებიც ხელს შეგიწყობენ ამ ზრუნვაში. თავის ბრწყინვალე თვალებით ისინი გარშემოუდგებიან ახალ დაბადებულს და მთელ თავის გამოუტყდელ სიყვარულს მოანდომებენ, რომ პაწია ქამიკო გაამზიარდნენ. მაგრამ როცა უმცროსი გაიზრდება, დაიწყებს ლაპარაკს, სირბილს და აზროვნებას, როცა განსაკუთრებით არ იქნება შენზე დამოკიდებული, როცა ის უკვე უნდა გაერიოს თავის და-ძმებში და მან უნდა ისწავლოს მათთან ერთობა, აი იმ დღიდან შენ უნდა ერიდო რაიმე განსაკუთრებულ და აშკარათ განსხვავებულ ალერსით გააჩიო ის სხვებისაგან. ბავშვებს აქვთ ზედ-მიწვევით განვითარებული გრძნობა სიმართლისა და უსამართლობის გასარჩევით. ისინი სულ უზარალო რამეს ადვილათ მიიმჩნევენ გულ-ციგობათ, თუმცა შენ ეგ სრულებით არ გაგველოს გულში. ადვილათ შესაძლებელია დანარჩენმა შენმა შვილებმა აღმაცერათ და შეურით დაუწყონ ყურება შენს განსაკუთრებით საყვარელ ბავშვს, თვითონ საყვარელი ბავშვი კი ადვილათ ჩავარდება განსაცდელში თავისი თავი გადამტეხულათ დააფასოს, სხვებზე უკეთესათ ჩათვლოს, თავისთვის ყოველთვის უკეთესი კერძი და უკეთესი ადგილი მოითხოვს. ხოლო ეს კი ისეთი თვისებაა პროლეტარ ბავშვებისთვის, რაც პროლეტარიატის მომავალ ბრძოლაში არ გამოადგება.

შენისი შულცი.

იძულებითი განაპარტეზა

ვახ. „ზომლის“ მერვე №-ში დაბეჭდილია წერილი, ქვეშ აწერია ან... მე არ მინდოდა, ამაზე პასუხის გაცემა, გადავეწყურე გაჩუმება, მაგრამ ამხანაგებმა დამარწმუნეს, რომ პასუხი საქირო არის...

ანი სწერს: „რატომ ასე ვაგვიტყე დიდი ხნის მეგობარი? რამ გამოიწვია ჩემი „მკაცრი სიტყვები?“ და იგი უპასუხებს: „მან (ე. ი. მე) სარედაქციო კოლეგიის კრებაზე ჩაიღიანა დიდად უზნეო საქციელი: ნამდვილ მიზეზის აღივანა ყალბი მიზეზი წამოაყენა, თქვა ის, რასაც არ ფიქრობდა და ფიქრობდა იმას, რასაც არ ამბობდა. ამასვე სჩადის ეხლაც, ნუ თუ ასეთი კაცი საშინაო არ არის.“

ამის საბუთები? ანი გვიპობს: „მეც და ყველამ იცოდა, რომ შენიშვნა გაუკეთა ლ. დ. იმიტომ, რომ

*) იხ. „ჩვენი კვალი“ № 12.

მე ნაციონალიზმს ვებრძოდი, და ეს ასე განგვიცხადა პირადათ იმავე დღეს ლ. დ. რედაქციაში, სადაც ბევრი სხვებიც იყვნენ* ამ ბეგიდან ნეტა ერთი აღამიანი მაინც დაესახელებინა მოწმეთ—როდის იყო რომ მე ეს ასე განვეუცხადე?! ანის მხრივ აქ ხაზ გასმული სტრიქონები არა მარტო სიყალბეა, არამედ აგრეთვე უაზრობაც არის. ანმა კარგათ იცის, რომ მე ნაციონალიზმს ვეწოდებ ბურჟუაზიის ნაციონალურ პოლიტიკას, და სხვა რომ არა ვსთქვა, ს. დ. გაზეთში მაინც არ შემეძლო ამ პოლიტიკის მოსარჩლეთ გამოცხადება. შემდეგ ანი ისე გადმოგვეცხა, ვითომ მე „ნაციონალურ გრძნობის“ შესახებ მთელი დავა და კამათი ამტკუნოს; იგი სწერს: „ლ. დ. მიმტკიცებდა მე და სხვებს, რედაქციის მუშაკთ, წერილში „ნაციონალური გრძნობა“ სასაცილოთაა აღებული, მე ნაცია არა მუშავს და სხვა ასეთი“... ანი ვალდებული აყო მოწმეები მაინც დაესახელებინა, მარა ამას ვერ იზავდა, რადგან სიტუაცია აშკარა. ანი განაგრძობს: „ლ. დ. გრძნობდა, რომ რედაქციის სხვა წევრებს ვერ დაითანხმებდა („ნაციონალიზმზე“!?, ლ. დ.) და შენიშვნა მოხსნილი იქნებოდა... როცა დარწმუნდა, რომ კოლეგია შენიშვნას უუკველათ მოხსნის, მან ყოვლად მოულოდნელათ შესცვალა ფორმტი და როგორც კი ეჭმოდა სხლამა ოფიციალურ სხლამათ გადაკეთდა, მან განაცხადა: ანის წერილი ნაციონალური კითხვაში ძლიერ შორის მიდის, ის თხოულობს კულტურულ ავტონომიას, რაც დადგენილებას წინააღმდეგება და სხ. (ამასვე იმეორებს ახლა ის იქ), ე. ი. დეჟრ დნო დადგენილებას, გამოვიდა „ძველი აზრის“ მფარველი, მე გამომიყვანა მის მოწინააღმდეგეთ... მან უარ ყო ის, რასაც რამოდენიმე წუთით წინ ლაპარაკობდა და წამოაყენა არ არსებული მიზეზი*). მაშასადამე, თუ ანს დავეუჯერებთ, გამოდის შემდეგი:

მე ჯერ, თურმე, განმიცხადებია ასე: „ანის სტატიას „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ შენიშვნა გავუეთვე იმიტომ, რომ იგი იცავს ძველ აზრს“ (დადგენილებას), ბრძვის ნაციონალიზმს, ხოლო მე ამ უკანასკნელს ვეტრფილები და უარ ვყოფ პირველს; მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ ამაზე კოლეგიას ვერ

დავითანხმებდი, ხელათ ის განცხადება, თურმე უკუდამა შევეტრიალე (ე. ი. შენიშვნა გაუეთვე იმიტომ, რომ ანი ბრძვის დადგენილებას, მე კი სწორეთ ამ დადგენილებას ვეტრფილები და სხ.).. მგონია მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთი სცენა შეიტლება მოხდეს სადმე საგიეთში და აზანოზმალურ აღამიანთა შორის, და რაკი ანი სიგიტეს ირავის არა სწამებს, ცხადია, მისი ნამზობი და მისი განმარტება არ უნდა შეიცავდეს სინამდვილეს.

მართლაც საქმე აი როგორ იყო. სარედაქციო კრების გახსნის უმაღლეს, რაკი—პირველი სიტყვა მე მეკუთვნოდა—ამანავებს განვეუცხადე შემდეგი: „სარედაქციო შენიშვნაში ნათქვამია, რომ ქართუ. ხალ. და ნაც.“-ის ოფიციალი შეხედულება არ გამოხატავს რედაქციის საერთო აზრს. არსებთად, ეს შენიშვნა სრულად საფუძვლიანი იქნება მაშინაც, თუნდ რომ მხოლოთ ერთი წევრი არ ეთანხმებოდეს აღნიშნულ სტატიას. და მე (ერთი წევრი) რომ მას არ ვეთანხმები, ეს უკვე იცით, ჩვენ რომ ნაციონალურ საკითხში ერთი აზრის არა ვართ, ეს თქვენ ყველამ ძალიან კარგათ იცით, და ამაზე ვხლა, აქ ლაპარაკი სრულიად მეტია. სარედაქციო შენიშვნაზე კოლეგიის წინააღმდეგობას მით უფრო არ ველოდი, რომ სრული საბუთი მქონდა მეფიქრნა—ჩემს გარდა კოლეგიის სხვა წევრებიც არ დაეთანხმებოდნენ საგსებთ იმ სტატიას, რადგან აქ ერთი ადგილი (ვეუჩენებდი იმ ადგილს, სადაც ავტორი აღიარებდა—ქართველი სოც. დემოკრატია თავის ერისათვის თხოულობს კულტურულ ავტონომიასო) არ ეთანხმება იმ დადგენილებას, რომელსაც ეს წევრები (და არა მე) იცავენ.

აი რა იყო მთელი ჩემი ლაპარაკი იმ სარედაქციო კრებაზე. სად არის აქ რამიმე „გამზაზობა“? განა ჩემს ადგილას ასევე არ ილაპარაკებდა და ასევე არ მოქიქეოდა ყველა ქვეათა მყოფელი და გულწრფელი აღამიანი?

მართალია ანმა იქვე განაცხადა, რომ მას „ქართველი ერის კულტურული ავტონომია“ ისე არ ესმოდა, როგორც ჩვენ, რომ ეს ავტონომია—მისი აზრით— არამც თუ არ წინააღმდეგებოდა დადგენილებას, პირიქით, აქედან გამომდინარეობდა ლოღოკურათ, მაგრამ ეს ლიტონი განცხადება აღარ შეელოდა საქმეს, რადგან სტატია უკვე დაბეჭდილი გვედო წინ და მაშასადამე აუცილებლათ საქირო იყო ორში ერთი: ან სტატიის აღნიშნული ადგილი (კულტ. ავტონომიაზე) ანს უკანვე უნდოდა წაიღო საჯაროთ, განვითარსავე საშუალებით და ან სარედაქციო კოლეგიის შესაფერის შენიშვნა უნდა გავეთვინა სტატიისათვის. კოლეგიამ კი როგორც იცით-- არც ერთი ისურვა—და არც მეორე. ამ შემთხვევაში იმის თქმა, რომ თუ სტატიის მთელი შინაარსი არ წინააღმდეგებოდა დადგენილებას, ჩვენ თქვენ ტერმინებს არ უნდა გამოვიყენებოდითო, ამის ცალკე მკითხველების მისახრათ ავლებათ და მეტრ არაფერი.

*) ანი ასახელებს „ჩვენი კვლის“ № 6-ში დაბეჭდილ არისტიდეს წერილს. ანმა კარგათ იცის, რომ არისტრი მე არა ვარ. იგი ერთი იმ ამზანავთაგანია, რომელნიც დაესწრენ კოლეგიის კრებას, თუმცა ამის წევრები არ არიან. მე ხელ მეორეთ ვაღვიკოთხე არისტიდეს წერილი, მას იქ მაინც არაფერი აღმოუჩნდა იმის შესავსი, ვითომ მე უარ მეყოს ჩემი აზრი და დადგენილების მკველათ და მჭარველათ გამოვსულიყავ.

ანმა თვითონაც კარგად იცოდა—თავიდანვე თუ არა, აღნიშნულ სარედაქციო კრების შემდეგ მაინც— იცოდა, რომ ქართველი ერის კულტურული ავტონომიის მოთხოვნა ვერ მოთავსდებოდა დღევანდლებაში, და ამიტომაც მან ისე დაათვა თავისი წერილები „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, რომ სიტყვა აღარ დაუძრავს ამ ავტონომიაზე. მის წერილების დასკვნაც სრული უარყოფაა, როგორც ქართველობის, ისე კავკასიის ყველა სხვა ერების კულტურულ ავტონომიისა. ანი მაინც არ იშლის და მომხრეობას უწყებს რაღაც ავტონომიას; ეს არის ვითომ ამიერ კავკასიის ყველა ერების **საერთო კულტურული ავტონომია**,—რომელიც, თავის თავით აბსურდია, შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას.

მერე რას ნიშნავს ყელა ვე? ნიშნავს იმას, რომ ანმა მოიწოდინა, შეეცდინო გარეგნების მიხედვით, ძველი დაღვინილობისათვის ვითომ გაფართოებითი განმარტება მიეცა, რათა ამ რიგათ გაეგანგებინათ ეს დაღვინილება, ბოლო მოეღო გაჩენილ რუყებისათვის (შატანიესის—როგორც თვითონვე სიტყვა რედაქციაში იმავე დღეს). ეხლა ანს ვითომ აღარც კი სჯერა ეს რუყვა, იგი ამ სიტყვას, თავის წერილში განცვიფრებით და კითხვითი ნიშნებს უსვამს, მაგრამ—დეე, იცოდეს ანმა—არ გაივლის ერთი წელიწადიც, რომ ეს დაღვინილება ჩაბარდება ისტორიას. დიან, ანი ესწრაფოდა პარტიამო ვაჩენილი მიდრეკილება ავტონომიისადმი ამოეკლა კულტურულ ავტონომიაზე გამოფენილ უშინაარსო ფრაზეოლოგიით. მე ამას წინააღმდეგედი. და აი ეხლა ანი გამოხსულა... „სახარების წასკითხათ“, (კარგე ნათქვამია თქვენმა ხემ) ჩემს მოქცევას „დიდათ უხუნო საქციელს“ უძახის და თავის წერილსაც აბოლოვებს: „ეს წერილი გაფართოებებს იმითაც, ვისაც კიდევ სჯერათ მისი (ე. ი. ჩემი) პოლიტიკური გულწრფელობა და პირადპირება“ო. გაგონილა ასეთი უტვინობა?! ანი ჩივის, ლ. დ. მეც მისებურათ ვეფუძკივარ“ო, ჩემს წინააღმდეგ „სახარებათ კორი“, ხოცივებს და „ინისუციები“ გამოუჩენიაო და დასასტკიცებლათ მოყავს „საბუთები“ არა ჩემი წერილიდან *Prodromo suo**, არამედ ჩვენი კვლის 1-ში დაბეჭდილ მეთაურ წერილის სხოლიოდან. ანი იყვარს აღნიშნულ სხოლიოდან იმ სტრიქონებს, სადაც ნათქვამია, რომ ერთხელ ანი ამხანაგებმა მაგრათ შემოქვს გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმის არტახებით და ამას ასე განმარტავს: **ე. ი. მე სხვისი ჩაგონებით ვეწერ ნაციონალური კიხვანზე**. ამის დამწერი განა პატარა კაცი, კაცუნა არ არის? მარა მგ ხაზგასმულ სტრიქონების დამწერი თვითონ ანია; სხოლიოში კი ის აზრია გატარებული, რომ ანს სამწერლო ასპარეზზე გამოხატვის დროს სწორე შეხედულემა ბეჭეტი ეროვნულ საკითხზე, მარა, შემდეგ, როცა იგი დატრიალდა იმ ამხანაგებში, რომელნიც უციადღერსობამდე გაფენითილი იყვენ გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმით, მან განიცადა ამ ამხანაგების ძლიერი ზეგავლენა და თვითონაც **შეითვისა** მათი მრულე შეხედულემა. არტახებით შემოქვა“ ხომ უზბალო მტეფორიაა. ანმა კარგათ იცის მე ასეთი მიტეფორია ვისმარე განვებ იმბტომ, რომ ნიშნობლივთ მეთვითებინას სხვათა შორის ერთ ინციდენტზე, რასაც ჩემი აზრით, პარტიისთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ჩაგონებით წერა“ კი სოციალისტურ პრესაში შეხულებულია. შემდეგ ანს თავისებურათ მოყავს კეოვრე სხოლიო, სა-

დაც ნათქვამი იყო, რომ ანმა, ჩვენ შორის მომხდარ კონფლიქტის შემდეგ, ერთ თავის წერილით („იხ. ცხოვ. სარკე“ № 10) უკვე რამოდენიმე ცვლილება შეიტანა დაღვინილებაში. იგი აცხადებს, რომ ესეც ქორი და ცილისწამებაა, რომ მან სხენებულ სტატიაში გატარებული აზრი გამოსტევა ვერ კიდევ ამ თთხი წლას წინათ და რომ მე ეს უნდა მცოდნოდა სახლგარ-გარეთ ყოფნის დროსვე. მაგრამ სახლგარ-გარეთ ანის შესახებ მე შეიძინა სხვა რამეც მცოდნოდა, ის მაგ., რომ იგი ერთხელ „პოლიტიკურ ავტონომიის“ მომხრეც იყო. ასე, როდესაც 1903 წლის ზაფხულს ანი და დ—ე თ—ძე ჩემთან შემოვიდნენ ბრიუსელში, ჩემს პირველსავე შეკითხვებზე, თუ როგორი მანდატი ჰქონდა კავკასიის დღევანდელის ეროვნულ პროგრამის შესახებ, ანმა დაბეჯითებით განმიცხადა: **ჩემი მოთხოვნაა პარლამენტო თეორიისა...** რა თქმა უნდა ამ საკითხი მომხრეებულ წარსულის მოგონებებზე ვერ დავეფარებოდა, რადგან უახლობელესი წარსული წინააღმდეგე მეთუნებოდა. ასე მაგ. როცა ჩემი დებულებები პირველ სახელმწიფო დეპუტატი მიემხრეზებოდნენ, ჩვენ ცხარე დავა-კამათი გვექონდა ეროვნულ მოთხოვნათა შესახებ, როგორც დიდ კრებებზე, ისე კერძოთ მე და ანს. და ყველა ამ კრებებზე ანი ვადაქრია უარყოფდა ამიერ-კავკასიის რეაქციონის სიკვდილ რაიმე საკანონმდებლო ფუნქციები, რაიმე ადგილობრივ საქმეებში. ეხლა კი ანი აღნიშნულ წერილში ანი სწერს: „ერთი სიტყვით, სემის უნდა ჰქონდეს უფლება გამოსცეს ისეთი **კანონები**, რომელიც აკმაყოფილებენ ადგილობრივ კულტურულ და ტერიტორიალურ საჭიროებებს“ ამ წერილში „შესწორება“ დინახებს, ჩემს გარდა, კიდევ სხვა ამხანაგებმაც და თვით ანის თანამოაზრებმაც.

მე არ მიატემა, ვითომ „შესწორება“ გამოყწივოს „შიშს“ „ალიონის“ წინაშე. მე მხოლოთ ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ ძველი ანის“ რუყვა, რომლისთვისაც ბოლო უნდა მიეღო ანს, რაიმევა გავრცელოთ თვითონ ანზე; და ამ „ცვლილებას“ **ილიუსი** მიეცა იმ გარეგნებით, რომლის გამოხატულებემა „ალიონი“ც, ეს ორგანო სრულიად შემთხვევით მოპყვა ჩვენს სარედაქციო კონფლიქტს, იგი უნდა დაბადებულიყო ბუნებრივის აუცილებლობით, რადგან გამოშხატევილი რეაქტულათ არსებულ პარტიაში გაჩენილ მიმდინარეობისა *). თავისთავად ცხადია, რომ ამ გარეგნობ-სათვის ანს ანგარიში უნდა გაეწევი. აი სწორე ეს არის აღნიშნული იმ სხოლიოში და მეტი არაფერი.

დასასრულ, ანი უარყოფს ჩემს განმარტებას ჩემი კონფლიქტის შესახებ, თუკა ამ განმარტებას იგი ერთიანათ აუუყვდებოტებს; ანთ. დ.-ს დიდი ხანია ვიცეოვ, როგორც „ავტონომისტოც“, თითქმის საქმე ამაში ყოფილიყოს. „ავტონომისტები“ კიდევ სხვა ამხანაგებიც არიან, მარა მხოლოთ ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ანს, საბუთო ვერ მისცემს ამათ მოსასპობათ. მართალია ანი აცხადებს, რომ მას „წყაროს“ შეუღდეკე ჩემთან „მეგობრული კავშირი ან შეუწყვეტია“, მაგრამ... ის კი ცხადია, რომ თვით წერილები „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ სწორე, „წყაროც“ დააწერია ანზე ბეჭით აღრე მე მივიღე დასაბეჭდათ ერთ ამხანა-

*) „ალიონის“ გამოცემა განზრახული გვექონდა ვერ კიდევ „რიერაის“ დროს, მარა ათსი დაბრკალემა გადაგვეღობა წინ.

გის ღი. მ. სტატო, სადაც გატარებული იყო იგივე აზრები, რაც შემდეგ ანმა დაიკვა თავის წყობილებაში. მარა აღნიშნულ სტატიის დაბეჭდვა მე შევაკვირე, რადგან უმაღლეს მინდობა მოგვეხდინა თათბირი რედაქციისათვის ასე, „დროებით“ დირექტივების შესაშუშავებლათ. კრების გამართვა კი არ ხერხდებოდა, რადგან ამხანაგები დაქაპატიული იყვნენ. სწორედ ამ დროს განჩინა თავის პირველი წერილით „ქართვ. ხალ. და ნაც.“ მე ისეც რედაქციის პორტფელში მოვაქციე; სადაც იგი ინახებოდა რამდენიმე დღე, იმავე თათბირის მოლოდინში. მარა force majeure-მა მიძულა სტატია გამეშვა სამი დღით დადრე იმ კრებაზე, რომელზედაც ის უნდა განხილულიყო...

ანი ფიქრობდა პარტიის ადვილათ მისჯავებდა ძველ დადგენილებებზე და მეც ერთიანთა გამაბათილებდა, მაგრამ მე იმას გზიხდა არ ჩამოვეყვალე და აი სწორედ ამ მხიბდა ის, რაც უკვე ვიცით.

ანი ჩემს ასეთ განმარტებაზე აცხადებს, „ეს ერთიანთა ტყუილიაო“. მიზეზი ის იყო, რომ „ლ. დ. დიდათ უზნეო საქციელი ჩაიდანაო“... დამილოცინა ანისათვის მისი „განმარტება“.

ჩვენ ზვეით უკვე დავინახეთ, თუ ანი ამ „უზნეობის“ დასაშკტიცებლათ რა სიამარტებინო გზას ადგება და რა აღმშფოთებელი სიყალბეს იღენს. მერე რათ, რათ მიმართავს ანი ჩემს წინააღმდეგ ასეთ საშუალებებზე, რათ გებდა ასე ტლანქათ ჩემს ზნეობაზე? ასე რა ცილად იგი ჩემს პარადოხს მელახავს? იმეტრუ ხომ არა, რომ ზნეობრივთა დამარტებულა აღმინა ი ღირ არას, „საშიშარი კაცია“.

Oh, misère humaine! („ოჰ, ადამიანის არარაობაე“!)

ანს არა ჰყოფენის ჩემი აწმყობა მოსობა და იგი ჩემს წარსულსაც გადასწდომია. იგი მიმართავს იმთა, „ვისიც კიდევ სჯერათ ლ. დ. ს. პოლიტიკური გულწრფელობა და პირდაპირობა“ და ავჯე უსისინებს: „როცა ის (ლ. დ.) საზღვარ—გარეთიდან დაბრუნდა და „ივერიაში“ მოიკალათა, როცა ის „განჯე“ იყურებოდა და პარტიის გაურბოდა, როცა გვეუბნებოდა, რომ მისი სული და გული სხვისკენ ძეხს—მე (და განსაკუთრებით ჩვენი საერთო მეგობარი ს. ჯ—ძე) ჩვენსკენ ვეხატებოდით და ბოლოს, შემდეგ ბვენი ლაპარაკისა, კიდევაც შემოიყვანეთ—ჯერ, „სხიში“ და მერე სხვა მის მეგვიდრე რედაქციებში. მართალია, ერთი ამხანაგი, ვ. მ—ძე (ავრეთვე ჩვენი საერთო მეგობარი) გვაფრთხილებდა, ლ. დ. სანდო არ არის, ჩვენი არ არისო და სხვა, მაგრამ ამ სიტყვებმა ვერ გასტრეს და ლ. დ. კავშირი ვერ შეგვაწყვეტინა. შეიძლება ეს ჩემი და ს. ჯ—ეს წინადაუხედაობა იყო, შეიძლება ეს დიდ შეცდომათა ჩამოგვართვან, მარა ფაქტი ფაქტით დარჩება“.

ამ გვართა, ჩემ მიერ ზემოთ ხაზგასმული სტრაქტურები, თურმე, ფაქტებს აღნიშნავენ. დასახელებულა მოწმეც და მასთან ისეთი ადამიანი, რომლისთანაც მე უსახლგრო ნდობითა ვარ გამსქეალული, რომლის გულწრფელობაში მე ამასოდეს ვეკრს საგაკის არჩილთაც კი არ შემიტანია... მას ანი კიდევ სასებეთა ვერ მიუხეტებს, თუ იგი მარც მტკუვებს ასეთ უფერა საშუალებას ს. მართლვე აღუკვდინო! (ამ მოწმის დასახელება ანს მხრაც მია უფრო რაინდულია, რომ იგი, ს. ჯ—ძე, თავიდან ბოლომდე მოწმე იყო მთელ იმ „დიდათ უზნეო საქ-

ციელისაც“ და მთელ იმ სარედაქციო ინციდენტისა).

მე რომ საზღვარ გარეთიდან დაგებრდები, ის დრო იყო, როცა მთელი იმპერია და განსაკუთრებით საქართველო სოცინებო ქვეყანას ემსახურებოდა, როცა ჩვენი ხალხი თავისუფლებისადმი სიყვარულით ანთებული გლობათურ გამოღმურებისათვის ემსახურებოდა. ასეთ დროს, მოქმედების შემოფარგვლას პატარა წრეებით და საიდუმლო ორგანიზაციებით მე დანაშაულობათ ვცნობდი. უაღრეს მოვალეობათ ვთვლიდი პირდაპირ ხალხის მასსთან მარაპაკ და ურთიერთობას, რომლის ერთ მთავარ-საშუალებათაგანია ლეგალური პრესა, იმ დროს, გარდა სოც. ფედერალისტებისა და რუსულ ენის რადიკალთა ორგანიზებისა, არსებობდა კიდევ „მოკხაური“ და „ივერია“. პირველში არ შევედი, რადგან მისი რედაქცია ადგა ბოლშევიკურ ტაქტიკას, რასაც მე არ თანაუგრძობდი; გარდა ამისა ნაციონალურ საქიათში ჩემს და რედაქციას შორის გარდაუვლი ხრამი იყო გაწოლილი. მესამე, „მოკხაური“ იყო ყუველიკირული გაზეთი, მე კი ყოველდღიურს ვირჩევდი, რადგან ცხოვრება დღედა და გადმოდიდა; და მე ახატე; თათქმის და რწმუნებულა ვიყავ, რა მას ხელშეკრებულათან მე, საზოგადო, ვერ მოვრგდებოდი. ამისათვის საკმაო ლიტერატურულა ჰრეკიდენტები მქადა. „ივერია“ კი იყო უნარტო და იმ ხანებს აშკარა სოციალისტურ ელფურს ატარებდა. ამიტრუ დაიწყო ამ გაზეთში თანამშრომლობა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მთელ ამ თანამშრომლობას განმეგობაში, ბანი ვ. გოკიჩაშვილა მე ერთად ვეცდებოდნეთ მექეკედა; ჩემ ხელნაწერებს ბეჭდვად სრულიად შეუცუკელთა და შეუმოკლებლივ. და თუ რაიმე სიტყვის გასწორების მოინდომებდა, ამხედვაც უმაღლ მე შემეკითაებოდა ხოლმე. აქვე ისიც უნდა შევნიშნო, რომ „ივერიაში“ შესვლით მე ფურტააც არ მომსვლილა უარი მეოქე ანათ თანამშრომლობაზე, რასაც კარგათ მოწმობს ის გარეუებაც, რომ მე ანს ვადევცი ვრცელთ ხელნაწერი და ს. ჯ—ძეს პირით შეუვთავად, რომ სისტემატური ვითანამშრომლებდი იმ ორგანოში, რომელსაც ანი მაშინ რედაქტორბდა. მაგრამ აღნიშნული ხელნაწერიც, თუქცა ანისაგან მოწმობებული იყო დასაბეჭდათ, არ დაიბეჭდა და თვით ორგანოც მალე დაიურა.

ჩემმა თანამშრომლობამ „ივერიაში“ დიასაც რომ დიდი უქმაყოვლებმა გამოაწვია ამხანაგთა შორის, თითქმის ყველა ამათ აღმაკურათ დამიწყეს ყურება, ზოგემც თვით ფაქტი „ივერიაში“ თანამშრომლობისა პარტიის დალატს დაადარა. ს. ჯ—ძეს ჩემთვის არ უთქვავს თავი დამენებებინა „ივერისთვის“, მაგრამ მას ჩემთან არა ერთხელ გამოუთქვავს თვისი მწვევე უქმაყოვლებმა და საყვედური იმის გამო, რომ მე „ივერიაში“ დავიწყე თანამშრომლობა. ამ გაზეთის თავის დანებებაზე არას მეუბნებოდა ალბათ იმიტრუ, რომ კარგათა გრძობდა მე მას ამ შემთხვევაში არ გაუფრენებდა; და ამას მით უფრო გრძობდა, რომ იმ ხანებში მე მასთან უკვე დიდი „ურრობა“ დავემტკიცე. ეს იყო კონფერციობა, რომელიც მოხდა სწორეთ იმ ხანებში, როცა მე „ივერიაში“ დავიწყე თანამშრომლობა. საქიროა აღვნიშნო ეს ამბავი, რადგან მასთან შეერთებული ერთი ინციდენტი, რასაც გებდა თვითონ ანი, როცა სწერს: „(ლ. დ.) გვეუბნებოდა, რომ მისი სული და გული სხვისკენ (მოწმინააღმდეგეთა ბანაკისკენ) ძეხსო“;

ამიუ გვეცოდინება თუ ანის ამ სტრიქონებში რამდენი... უკუღმართობა ჩაქსოვილი.

კონფერენციის განსახლებულ რამდენსამე მთავარ საკანებში მე არ ვეთანხმებოდი დღევანდების დიდ უმრავლესობას, ზოგჯერ თითქმის მთელ კონფერენციის წინააღმდეგ მიხედვლად წასვლა; მე და ანც ანა ერთხელ და ორჯულ ცხარეთ შევეკამათეთ ერთმანეთს. ყველა ეს დღით სამწუხაროდ ჰქონდა განსაკუთრებით ს. ჯ—ძეს, მეთვლებოდა, რომ მე ძალიან ვცდებოდი, ვერ ვაფასებდი ადგილობრივ პირობებს, ვერც დავაფასებდი, რადგან ჯერ არ გვეცნობოდა აქაურობას, დიდი ხანი ვიყავი ჩვენს ქვეყანას მოზარბული, რომ სახლვარ გარეთიდან შევუღლებელი იყო აქაურ ვითარების დანახვა და სხ., რაზედაც მე ვუპასუხებდი, რომ იქიდანაც გულდასმით ვაღწევდი თვალს აქაურ ვითარებას, რომ მთელ მოძრაობის დანახვა ზოგჯერ შორიდან უფრო ადვილიც არის, ვინც ახლოდან, რომ, სხვათა შორის დიდიან განმთავისუფლებელ მოძრაობის დაწყებისა, სახლვარ გარეთის ყურნალ ვაფეთობაში აუთრებელი მასალა იმეჭიდებოდა რუსეთის შესახებ, რომ ზოგჯერ მტლავნებოდა ისეთი მასალა, ისეთი ფაქტები და თვით წერილობანი საქმისა, რის გავება ადგილობრივ ამხანაგებს ყოველივეს არც შეეძლოთ და სხ. მაგრამ ს. ჯ—ძე თავისაზე იღვავ და ის მინაც მიმტკიცებდა, მარწმუნებდა, მემუდარებოდა თავი გამენებებინა კონფერენციის ასეთ ოპოზიციონერობისთვის და სულაც შემეწყვიტა თათბირში მონაწილეობის მიღება. მე, რა თქმა უნდა, მის არ გაუჯანვ და ყველა სხლამებზე ბოლომის ვიცავდი ჩემს შეხედულებას. ჩვენს მეკობრულ ურთიერთობასაც ერთუბლები ვიფიქრობოდა და ეს მეც დიდათ მაწუხებდა. რთ სლამოს კონფერენციის მწვევი დებატების შემდეგ მე, ს. ჯ—ძემ და ანმა შევიარეთ ბაღში, იქ დაბურულ ხეივან ქვეშ, ერთ მაგდასთან ჩამოუსხდით და თითო ჰქია ჩივილი მოვიტანოვით. (იქვე შევესწრა ჩვენი ამხანაგი ვლ. შ—ძე.) ჩამოვარდა დუმილი, შეუფერებელი გძძელი პაუზა; ბოლოს მე დავარღვიე სიჩქევე დაახლოვებთ ასეთი სიტყვებით: „თათქმს წინაგანძობა მეთვნებოდა, რომ ეს აჯრე მოხდებოდა; სახლვარ-გარეთიდანვე თითქმის ვხედავდი, რ იმ ჩვენ შორის განხდებოდა უთანხმოება ტაქტიკურ საკითხებში, ვიცოდა რამდენათ მნიშვნელოვანია ეს უთანხმოება განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, კარგა მესმოდა, რომ ჩვენი უთანხმოება თავის გაუღენას იქონებდა, ჩრდილს მოაყენებდა ჩვენს ურთარება-შორის განწყობილებას. მაგრამ თუნდა სულაც გაწყვედს სიმები, სულაც დაკარგო მეგობრები, ჩემს ასეთ ტაქტიკურ შეხედულებას არ მივატრებ, რადგან ეს შეხედულება დღეს ჩემთვის სწორე და შეუმცდარია“. ეს იყო და ეს. ამაზე მეტი არაფერი მითქვავს, მართალია, თუ კაცი მოიწოდინებს, აქედანაც გამოიყვანს იმას, ვითომ მე მეთქვას „ჩემი სული და გული სხვისკენ ძვესა“,—რაც, რასაკვირველია, არ მითქვავს, ვერ ვეტყვი, არ შემეძლო მეთქვა—მარა წარმოვიცდინო ანისაგან დამოწმებული ეს სტრიქონები მე მეკუთვნებოდა. მაშინ ვის და რას უნდა აღნიშნავდეს სიტყვა „სხვისკენ“? ცხადია იმას, იმ ბანას, რომელიც სამართლიანათ იცნობდა ჩემს ტაქტიკურ შეხედულებას. როგორი და იყო ეს უქანასკნელი?

ჩვენი უთანხმოება ტრალეხდა ორი საკითხის გარშემო, ეს იყო: 1) ბოლშევიკებთან შეერთება და 2) საზოგადოთ პოლიტიკური კამპანია (გემხანდობით ბუ-

ლიგინისგულ დუმის არჩვენებისათვის, რასაც, როგორც იცით, არ დასცალდა განხორციელება, რადგან 17 ოქტ. მანიფესტმა წამოუსწრა. ნაციონალური საკითხი კონფერენციის არა ჰქონდა განსახილველი; ამ საკითხზე მაშინ არც საერთო კრებულე და არც კერძო არა გვექონია კამათი). აი ორივე სიტყვით ის, რასაც მე მაშინ ვამტკიცებდი. განმთავისუფლებელი მოძრაობა, რასაც განიცდის დღეს რუსეთის იმპერია, არის ბურჟუაზიული რევოლუციუთა; სანამ ვფხვნე დავას ძველი რეჟიმი, პროლეტარიატს, უნდა თუ არ უნდა, მას, მოკავშირეებთან ყავს ყველა პროგრესიული საზოგადოებრივი ქლასები და ჯგუფები, მარა დღეს მუშა-ხალხი არამც თუ არ უნდა თავილობდეს და არ უნდა გაურბოდეს ამ „მოკავშირეებს“, პირიქით უნდა ვცადოს, რაც შეიძლება, სვეტების გამოიყენოს ბურჟუაზიის ყველა ოპოზიციონერ-რევოლუციონერი ძალები; ამისათვის წინ წამოყენებულ და ხანგამსული უნდა იქმნას ხოლომე საერთო სამიშვირო მიზნები; ჩვენ არამც თუ არ უნდა მოვირიდოთ ბურჟუაზიული პარტიებთან კერძო, დროებით, ტენიკურ შეთანხმებას, პირიქით უნდა ვეცადოთ მოხდეს ასეთი შეთანხმებები, ხოლო ამასთანავე, ექვს გარეშე, საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო ვალაშქრებაშიაც პროლეტარიატს მუდამ მაგლა უნდა ექირას თავისი პარტიის ბაირალი და ოდენავადც არ უნდა დაქარგოს თვისი იღვიური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. ერთის სიტყვით, მე აღნიშნავდი ყველა რევოლუციონერ და ოპოზიციონერ ძალთა შემოკრება-შეჯგუფების უადრეს საჭიროებას—დასახელებულ გაჩრდილით—და ამანაგებს გაფაფხობილებდი იმ „შერიკივებელ“ ტაქტიკისაგან, რომლის მიუცლებელი, დამტუხველი შეფხვი უნდა ყოფილიყო პროლეტარიატის განმარტოება ბრძოლას ველზე... როგორცა ვთქვი კონფერენციის დიდი უმრავლესობა ჩემი შეხედულებების წინააღმდეგ წაიდა. მეტრა აქ იმაზე ლაპარაკი, თუ ვინ ვამართლა და ვინ ვამატყუნა ცხოვრებაში—მე თუ ამხანაგები, ვიტყვი მხოლოთ, რომ ჩამოვინიჭე ანის შემდეგ—მართალია, post factum—გ. პლენარეო ენერგულით ამ შეკრებულე-ლურათ გამოესარლა სწორეთ იმავე ტაქტიკას (იხ. მისი „სოც. დემ. დღურა“), რასაც მე ვაცავდი იმ კონფერენციებზე. მე ამ გარემოებაზე, ამ ტაქტიკის სრულ მსგავსება—გივივობაზე მაშინვე მიუთითე. ს. ჯ—ძეს, რომელმაც მიპასუხა: კი, მაგრამ იგიცა სცვლება, იგიც მოზარბებელია რუსეთის სრამდელიესო და სხ. ასეთივე იყო ამხანაგთა უმრავლესობის აზრი: ტენიკ დავივნებით იმეორებდენ, რომ პლენარეო ადარ ესმის ტაქტიკური საკითხები, ის ეფლობინება მას სულაც თავი დანებონ ამ საკითხებს და მხოლოთ თვითრახე სწროსო და სხ. რაც შეეხება კონფერენციის მეთრე საკითხს, ბოლშევიკებთან შეერთების შესახებ, მე, რასაკვირველია, ბეჯითათ ვიცავდი ამ შეერთებას და თუცა ამ შეხებევამშიც კონფერენციებზე მე თითქმის მხოლოობით რიცხვი დაყრჩი, მარა მეტრეოდენი ანის შემდეგ ჩემი შეხედულება დადასტურა სრულიად რუსეთის სიხებმა. მაშინ სლამე, ნათქვამიდან აშკარა არის, რომ ჩემი „სული და გული სხვისკენ“, მოწინააღმდეგეთა ბანასიკენ ყოფილა, თუ კი ასეთ ბანასს წარმოადგენენ სიხებს და პლენარეო.

ანმა თვითონაც ძალიან კარგათ იცის საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ ის მინაც ვაქტებს ამხანაგებს, აუკლებობათებს, განხრახ ტყუის და სიყალბის მორგეში ინთქება მხოლოთ იმ მიზნით, რომ დაამტკიცოს:

„ლ. დ. საშვირის კაცი არის!“ მოერიდეთო!.. „მისი სული და გული სხვისკენ იყო“ იმ თავიდანვე, ეს ასე განვითარდა პირადად ლ. დ. შა... „ისი განზრწ“ იყურებოდა და პარტიის გაფურხობა... მხოლოდ ჩვენ, მე და ს. ჯ—მე ჩვენსკენ ვწვდებით, ჩვენსკენ ვებატავებით და დღევანდლამდე ჩვენ დავაკვირებთ პარტიაში ჩვენის „შეცდომით“ და „წინდასუბედობით“... მაგრამ ეს წინაყოფილობით თავის თავზე აღებული ბრალდება შე თვითონ უნდა ჩამოგხსნან ანს, რადგან ნამდვილად არც ანი და არც ს. ჯ—მე არასოდეს არ შეუწყუბულან ჩემს „საბატელებთან“ და არც არასოდეს მე მიოქვამს უარი მივაღივებთ შესრულებაზე. ანი ნიწნობლივით ამბობს, რომ ლ. დ. „სხივი“ შემოვიყვანეთ „ბოლოს, შემდეგ ბევრი ლაპარაკისაო“, კიდევ აღმშფოთლებელი სიყალბეა. ნამდვილად ამაზე არც „ბეგრის“ და არც ცოტა „ლაპარაკი“ ჩემთან არავის არ ჰქონია, მე მარტო ერთხელ მოვხედი მხოლოდ ერთ კრების ბოლოს, (სადღე ლაპარაკი უნდა ყოფილიყო „სხივის“ თანამშრომლების მოწვევაზე და სხვა ტენიკურ საკითხებზე, ანმა განმიცხადა, რედაქციისაო, სხვათა შორის ფ. მ—მე იქნებოა, და რა გაიგო, რომ ეს ვარემოება მე თანამშრომლობაზე უარს ვერ მათქმევინებდა, მიუბრუნდა ს. ჯ—მეს და ჩემზე შენიშნა: ამ კაცს ალბათ ჰონორარიც ენდობებოა, რა-ზედღეც ს. ჯ—მე მიუყო: და რაღა ამ კაცს, ჰონორარი, მგონია, შენთვისაც და ყველა თანამშრომლებისათვის საქირო იქნებოა. შემდეგ, ნახევრათ ზემორობის კილოზე ვილაპარაკეთ ჰონორარზე და დავიმოხივით, რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან შემოვიდა ს. ჯ—მე და, სხვათა შორის, შენეთხა—განა შენ იმ ლამის სეროხულათა ლაპარაკობდი ჰონორარზე? მე საყვედურით მივმართე: როგორ სეროხულათა, შენ კარგათ იცი, რომ ადრეც პარტიულად ჰონორარის გარდა, მე სხვა წყაბარ ასებისა ბისა არა მაქვს, მაგრამ მგონია ისიც კარგათ იცი, რომ მე ამ საკითხს ვერ დავიკუვეშირებ ჩემს „სხივი“ თანამშრომლობას. მე „სხივი“ ვითანამშრომლებ მეზინაც კი, თუნდ რომ ვროშიც არ მივიღო იქნება ჰონორარი; უყურ რამდენიმე კვირათ, ჯერ არც ჰონორარზე და არც ჩემს თანამშრომლობაზე სიტყუაც არავის დაგერა, რომ მე უკვე ვაძვეწვევებ „ივერის“ თავის დანებება და „სხივი“ ვაძვეწვევებ, ანცე ვანვლცხადე „ივერის“ რედაქციას, ესევე მინდოდა ვახეთისავე საშუალებით გამოაქვსხადე, საამისო კიდევ დამწერე წერილი, მარა ალარ დავაბეჭდინე, რადგან ჩემ თავზე ყურადღების მიქცევა მიუღებულა, პრეტენციოზულათ მეჩვენა“ და იქვე წავაქვითი. ს. ჯ—მეს შემდეგ ვამოსახოვებელი წერილი. (მათყავს შეუცვლელი და სიტყუა-სიტყუით) „აი დადგა ყამი აუცილებელ განმორებისა, ყამი იღმულათ ტყილ-სანტარო საკუთარ ხსლში დამრუნებისა. დღედან ეტოვებ ვახ. ივერისა“. პარტიამ, რომელსაც მე ვეკუთვნი, შეიძინა თავისი ორგანი. ეს არის „სხივი“. მის ქვეყნათ გამოსვლს ამ მოკლე ხანში ვიდელსაწაულეთათ.

„სხივი“ ჯერ არ გამოსულა, მაგრამ იგი უკვე გვიწვევს თავისკენ ყველას, ვისაც კი თვისი საარსებო მარტი მუშა ხალხის საქმესთან ვადაუნასკვავს; „სხივი“ მოგვიწვევს ყველას, ვისი ექიბი-გონი საზარდოსთ მიჯაჭვულია კაცობრიბის უდიდეს სოციალურ პრობლემების ვადაუნასკვავს. „სხივი“ ანდამტივით გიტაცებს ყველას, ვისაც კი ანბილისი ფიცი დაუღვია ს. დ. დიდებულ დრომზე: მასთან ერთად ან მასზე სიკვდილი... „სხივი“ ჯერ არ გამოსულა, მაგრამ იგი უკვე ანთებულა ჩვენს გულ-გონებაში...

სტუშიარი და მასპინძელი ამიერიდან ვშორდებით ერთმანეთს. მომავალში ალბათ კიდევ შეეხვებით სადმე, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ იდეურ ბრძოლის ურთიერთ შორის ვასაწვევით. მასპინძლობისათვის „ივერის“ რედაქციას გულთათ ვაძლობას ვწირა, ეხლა კი მშვიდობით. სხვა და სხვა არის ჩვენი ვარსკვლავი, სხვა და სხვა არის სავლელი ვზები... მშვიდობით... „სხივისაკენ“!

მე „სხივი“ ვთანამშრომლობდი პირველი ნომრიდანვე ვაწვევული ბოლომდის. ჩემთვის ხელი არ შეუშლია იმ დარეგობებასაც, რომ ზომები იქნა მიღებული — ჩემი თანამშრომლობა ვაფარული ყოფილიყო, თუმცა ნაშინ, მე პირადათ სწორეთ წინააღმდეგე მი ვყავი დინტერესებულ და ეს ვაგაც ვაუხსნი ერთ კრებაზე, მარა ანმა ვადაქვითი ვანცხადა—ეც ყოველდ შეუძლებელია და მის უსიტყუეთ ვაეთანხმა კრებაც. ვთანამშრომლობდი ვგრეთვე „სხივის“ ყველა მემკვიდრე ვზებში და აქ არც ანისა და არც სხვების შხრივ მოვატყევათ არაოდეს არ ვამხდარა საქირო. (ანი ამ ვახეთებში უმეტეს ნაწილათ არცა ყოფილა; იგი რუსეთში არჩევა ყოფნას და უფრო კაპიტალის საქმეებზე მუშაობდა). მე ვთანამშრომლობდი ვანუწვევებზე, ვარდა სამიოდ ხანმოკლე შემთხვევისა, როცა ფიხიკუთათ მესპობოდა წერის საშუალება. ხშირათ და ხანგრძლივაც ჰონორარს ან სულ ვერ ვიღებდი ანუ ვიღებდი თითოთოროლა მანეთობით და კავიკობით, მაგრამ მე მაინც „ვანზე“ არასოდეს არ დამიწყვია ყურება, თუმცა მქონია საშუალებათ უყუთეს ჰონორარის საშოვნეობათ. ასე ვაგ. ს. ჯ—მე იცის, რომ ამ ორი წლის წინათ ერთ მომორებულ ქალაქში, ერთი საკომერციო დაწესებულება მამღვედა თვეში 300 მ. სამას მანეთთან ადვილს, მარა ოდენ ამ ადვილზე ვაღმობა ჩვენს ლიტერატურას მაშორებდა, მე უფრო ვეჭვი იმ ადვილზე და ვამჯობინე ვაერჩენილიყავ „სხივის“ მემკვიდრე ვახეთებში, სადაც ვმუშაობდი უკანასკნელ დრომდე. და აი ეხლა ვამოსულა ანი და... მაგრამ ქმარა...

ასეთათ ვაქტები. ყველა ამ წერილში მოხახრობილ ამებ-ს პირადი მოწვევა ს. ჯ—მე. და თუ მე აქ რაიმე ვავარბუდე, თუ რაიმე ისე არ ვადავციცი, როგორც ნამდვილათ იყო, მე ვთხოვ ამხანაგებს ხმა ამოიღონ და სიმარბილე ვადაღიწონ; თუ მე ამ წერილში რაიმე იოტის ოდენა სიყალბე მიმიძღვის, საქმის მქონედ ამხანაგები ვაღვლებულნი არიან ხმა ამოიღონ და ეს საჯაროთ, პრესის საშუალებით ვანაცხადონ!.. ლ. დ.

რედაქტორ-გამომცემელი ანი. გორგოზიანი.